
კომუნიზმის ეპოქა
გერდ ქიონენის გამოფენა, გამოცემული გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიქტატურის გააზრების ფედერალური ფონდისა და გერმანიის ისტორიის მუზეუმის მიერ.
Konrad Adenauer Stiftung
BUNDESSTIFTUNG AUFARBEITUNG
DEUTSCHES HISTORISCHES MUSEUM

კომუნიზმის ეპოქა - მსოფლიო მოძრაობა

სერგეი ეიზენშტეინის მუნჯური ფილმი „ოქტომბერი“ (1928 წ.) ასახავს ლენინის დაბრუნებას შვეიცარიის ემიგრაციიდან 1917 წლის 3 აპრილს როგორც დრამატულ მსოფლიო-ისტორიულ მოვლენას.

კადრები ფილმიდან: picture alliance / CPA Media / Pictures From History

კომუნიზმი XX ს-ის ყველაზე მასშტაბური და მასობრივი მოვლენა იყო. ლენინს მიაჩნდა, რომ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ პარტიები „ახალი ტიპის“ პარტიებია. ეს საკადრო ორგანიზაციები თავიანთი წევრებისგან ითხოვდნენ უსიტყვო მორჩილებასა და მკაცრ დისციპლინას. როგორც კი კომუნისტური პარტია მოვიდოდა სახელმწიფოს სათავეში, ყველა მოქალაქეს ევალებოდა მისი „მმართველობის“ მორჩილება.

ამ ძალადობით დამკვიდრებულმა რეჟიმმა, რომელსაც მართებულად ეწოდა „ტოტალიტარული“, განკარგა მთლიანად საზოგადოების, თითოეული მისი წევრის ცხოვრებაც კი. სწორედ ამან განაპირობა საბოლოოდ მილიონობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და სოციალური გარემოს გაპარტახება.

თუმცა, აღმავლობის პერიოდებში კომუნისტები ახერხებდნენ ახალგაზრდული ენთუზიაზმის, ინტელექტუალურ და შემოქმედებით ენერგიათა მობილიზებას მანამდე, ვიდრე მუდმივი და ჭარბი ყოველდღიური მოთხოვნებით გაჯერებული საზოგადოების ცხოვრება არ გამოიწვევდა მის გადაღლას, პასიურობას, ცინიზმს და, მეორე მხრივ, არ წარმოშობდა დისიდენტურ განწყობას.

მიუხედავად ამისა, „სოციალისტური ბანაკისა“ და საბჭოთა კავშირის კოლაფსი 1989 წლის შემდეგ ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორიც ჩინეთის აღზევება კომუნისტური პარტიის დიქტატურის პირობებში. ორივე მოვლენა მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიო კომუნიზმის ისტორიული განვითარება და „წინსვლა“ 1917 წლიდან განსჯასა და ახსნას საჭიროებს.

ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის თავისადმი მიძღვნილი პლაკატი (1922 წ.), რომელიც ცდილობს, წარმოაჩინოს და ხაზი გაუსვას კომუნისტური მოძრაობის საერთაშორისო ხასიათს.

პლაკატი: redavantgarde.com / Simakov I. V.

გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ერნსტ ტელმანი 1931 წლის პირველ მაისს სიტყვით გამოდის ბერლინში. ერთი წლის შემდეგ პარტია რაიხსტაგის არჩევნებზე იღებს ყოველი მეშვიდე ამომრჩევლის ხმას.

ფოტო: SZ Photo / Scherl



კომუნისტური და სოციალისტური სახელმწიფოები 1970-იანი წლების დასასრულს.

რუკა: აღმოსავლეთ-ევროპა, 5–6, 2013

ფრანგი ფილოსოფოსები ჟან პოლ სარტრი და სიმონ დე ბოვუარი ფიდელ კასტროსთან ერთად კუბაზე 1960 წელს. მრავალი ათწლეულის განმავლობაში კომუნისტური მოძრაობა ძალიან იზიდავს ხელოვანებსა და ინტელექტუალებს.

ფოტო: picture alliance / CPA Media Co. Ltd

გერმანიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის ხელმძღვანელობა ლიბკნეხტ-ლუქსემბურგის მემორიალთან. მარცხნიდან: ერიხ ჰონეკერი, გენერალი ჰაინც კესლერი, ერიხ მილკე, ეგონ კრენცი და გიუნტერ შაბოვსკი. პარტიის ხელმძღვანელი ჰონეკერი და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი მილკე (პირველი -1929 წელს, უკანასკნელი კი 1925 წელს გაწევრიანდა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში).

ფოტო: SZ Photo / P / F / H

ეგზეკუცია ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს. „კომუნიზმი იყო უახლესი წარსულის ერთადერთი მოძრაობა, რომელმაც იმაზე მეტი თავისივე ბელადი, ლიდერი და მიმდევარი დახოცა, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგეებმა და მტრებმა", - ისტორიკოსი ჰერმან ვებერი.

დაუთარიღებელი

ფოტო: SZ Photo / Rue des Archives / FIA

2012 წლის 8-15 ნოემბერს პეკინის დიდ სახალხო დარბაზში მიმდინარეობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობა. ფოტო: picture alliance / dpa

1917 წლის რუსეთი - რევოლუციიდან სამოქალაქო ომამდე

ბორის კუსტოდიევის 1920 წელს შექმნილი „ბოლშევიკი“ ითვლება მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი პირველ ნიმუშად იმ ნამუშევართა შორის, რომლებიც 1917 წლის ოქტომბრის პუტჩს აღწერს და წარმოადგენს ჯადოსნურ მსოფლიო-ისტორიულ მოვლენად.

ფოტო: picture alliance / CPA Media

„შტურმი ზამთრის სასახლეზე“ 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) კომუნიზმის ერთგვარ ცენტრალურ მითოლოგიურ ნარატივად იქცა. სინამდვილეში კი ბოლშევიკებმა ძალაუფლება, არსებითად, უბრძოლველად იგდეს ხელთ.

რევოლუცია რუსეთში 1917 წლის თებერვალში (მარტში) მეფის გადაყენებით დაიწყო. თუმცა მაშინდელ დროებით მთავრობას, რომელიც სოციალისტებისა და ლიბერალებისაგან შედგებოდა, არც მსოფლიო ომის დასრულება ძალუძდა და არც ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა.

1917 წლის იანვარში, საპარლამენტო (სათათბიროს) არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ბოლშევიკებმა ძალისმიერად დაითხოვეს მაშინდელი პარლამენტი და მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც დაასამარა დემოკრატიული რევოლუცია. ბოლშევიკებმა გლეხებს დროებით გადასცეს მიწა, მაგრამ მიწიდან მიღებულ სარგებელს თავად დაეუფლნენ. ისინი ხალხს ჰპირდებოდნენ დასაქმებულთა თვითმმართველობების შექმნასა და საბჭოების გაძლიერებას, მაგრამ ამ დაპირებების ფონზე მათ დაშალეს ყველა არსებული საწარმოს კომიტეტი და საბჭო, დადეს სეპარატული ზავი გერმანიასთან, ამასთანავე, დაიწყეს წითელი არმიის შექმნა. ერთი მხრივ, ისინი პროპაგანდირებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ, იმავდროულად, ოთხწლიან სამოქალაქო ომში ჩაითრიეს მრავალეროვანი რუსეთის იმპერია. ეს ომი უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი მსოფლიო ომი. თუმცა, სწორედ ამ ომით შექმნილი ქაოსით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და შეძლეს ხელისუფლებაში მოსვლა.

პუტილოვის ნამუშევრებზე გამოსახული მუშა ქალები 1917 წლის 23 თებერვლის დემონსტრაციაზე პეტროგრადში (სანკტ-პეტერბურგი). სწორედ ამ დღეს იწყება თებერვლის რევოლუცია, რომელიც სრულდება მეფის ჩამოგდებით.

ფოტო: picture alliance / Heritage Images

შეტევა, რომელშიც რუსეთი დამარცხდა და რომლისგანაც ელოდა საუკეთესო პირობების მიღებას სამშვიდობო მოლაპარაკებებისას, 1917 წლის ივლისში იქცა გარდამავალი დემოკრატიული მთავრობის ფორმირების საწინდრად. გარდამავალი მთავრობის ხელმძღვანელი ალექსანდრე კერენსკი იბარებს აღლუმს.
ფოტო: picture alliance / HIP

მემარცხენე რადიკალები 1919 წლის იანვარს ბერლინში. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატიული გარდამავალი მთავრობა აჯანყების მცდელობებს მთელ რაიხში ახშობს სამხედრო ძალის გამოყენებით.
ფოტო: picture alliance / dpa-ZB

1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკები ძალის გამოყენებით შლიან წინა დღით პეტროგრადში (სანკტ- პეტერბურგი) შეკრებილ საკონსტიტუციო//დამფუძნებელ კრებას, მას შემდეგ, რაც მათ არჩევნებში მხოლოდ 168 ადგილი (703-დან) მიიღეს. ბორის ზვორკინის ნახატი (1920 წ.).
ბორის ზვორკინის ნახატი, 1920წ.: SZ Photo / Rue des Archives / CCI

„წითელი ჯარისკაცები წინ!“ - უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის პლაკატი (1919 წლის მარტი- აგვისტო) ხაზს უსვამს ბოლშევიკების იმედებს, რომ რევოლუციის ნაპერწკალი დასავლეთშიც აკიაფდება.
პლაკატი: SZ Photo / Rue des Archives / CCI

1918-1922 წლებში რუსეთის სამოქალაქო ომში ერთმანეთს სასტიკად უპირისპირდებიან „წითლები“ და „თეთრები“. ფრონტის ხაზის მიღმა ეგზეკუციის შედეგად იღუპება ასიათასობით ადამიანი.

კადრი ფილმიდან: ვლადიმერ ლენინი/რუსეთის რევოლუცია / 1917-1924, footage.framepool.com

დიდი უტოპია - ყველაფერი ძალგვიძს, ყველაფერი შესაძლებელია

„Доброхим-ის ამოცანები ომიანობის დროს/მშვიდობის დროს“. Доброхим-ის ეს რუსული აბრევიატურა აღნიშნავს „ქიმიური თავდაცვისა და ქიმიური ინდუსტრიის მეგობრების მოხალისეთა საზოგადოებას“.

1924 წლის პლაკატი: picture alliance / akg-images

აპოკალიფსური მსოფლიო ომის პირობებში კომუნისტებმა თავი ისტორიული ფინალის მონაწილეებად დაიგულეს და ძველი მსოფლიოს ნანგრევებზე დაიწყეს ახალი საზოგადოების მშენებლობა, რომელიც, მათი აზრით, თავისუფალი იქნებოდა კორუფციისგან, ცრურწმენებისგან, მესაკუთრული ინსტინქტისა და ინდივიდუალიზმისგან, მაგრამ იქნებოდა ერთგვაროვანი და დისციპლინირებული.

ისინი თვლიდნენ, რომ „გაშიფრეს“ პოლიტიკური ეკონომიისა და ისტორიის კანონები და თავად იყვნენ ყოვლისმცოდნენი.

აღნიშნული განაცხადის ბუნდოვნებამ და ყოვლისმომცველმა ტოტალიტარიზმმა წარმოშვა საკუთარი ყოვლისშემძლეობის განცდა. სწორედ ამან უბიძგა 20-იანი წლების ავანგარდულ ხელოვანებს - ფუტურისტებს, კონსტრუქტივისტებს, სუპრემატისტებსა და ე.წ. სოციალური ინჟინერიის იდეოლოგებს დიდი გარდატეხის შემდეგ წარმოქმნილი სიცარიელის უტოპიური პროექტებით შევსებისაკენ. მათმა უკიდურესად მოდერნისტულმა ნაწარმოებებმა განადიდეს საბჭოური კომუნიზმი მის დასაწყისში, რასაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა რეალობასთან.

სტალინი ძალადობრივად ასამარებს ამ მოდერნიზმსა და 30-იანი წლების შემოქმედებით პლურალიზმს. მისი შეუვალი ნებით აღიმართება კლასიკური სტილის მისივე ქანდაკებანი ვითარცა სამყაროს ღვთისსადარი შემოქმედისა. 1953 წელს, „უკვდავის“ სიკვდილის შემდეგ, ყოვლისშემძლეობის განცდით ნაკარნახევ ფანტაზიებს უფრო პროფანული ტექნიკური უტოპიები ენაცვლება.



ელიეზერ „ელ“ ლისიცკის არქიტექტურული პროექტი „ვოლკენბიუგელ („*Wolkenbügel*“) მოსკოვის სტრასნოი ბულვარზე“. 1890 წელს დაბადებული ეს ავანგარდისტი „ახალ რუსეთში“ ხედავს ახალი ხელოვნებისა და ახალი სოციალური ცხოვრების დასაწყისს.

ფოტო: picture alliance / Heritage Images

ღონისძიებისთვის: „ელექტრომექანიკური ჩვენება. გამარჯვება მზეზე“. ის ეფუძნება ალექსეი კრუჩიონიხის ოპერას, რომელმაც 1913 წელს დაწერა რუსული თეატრის ისტორია.

პლაკატი, 1920 / 21: picture Alliance / Heritage Images

ელ ლისიცკის მიერ კიოლნში პრესის საერთაშორისო გამოფენისთვის (1928წ., პრესა) შედგენილი კატალოგი. ის თავს უყრის ადრეული საბჭოთა კავშირის უტოპიურ-ტექნიცისტურ წარმოდგენებს.

ფოტო: PICTURE ALLIANCE / HERITAGE IMAGES (259)



შრომის ცენტრალური ინსტიტუტი მოსკოვში, ალექსეი გასწევის ხელმძღვანელობით, 1920 წელს გეგმავს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას და ამ გზით პროდუქციის გაუმჯობესებას. ფოტოზე გამოსახულია ის განსხვავებული შედეგები, რომლებიც ვლინდება იმავე პროცედურების სისტემატური გამეორების შედეგად.

ფოტო: commons.wikipedia

„ჩვენ დავამარცხებთ გვალვას!“ ეს ლოზუნგი განთავსებულია 1949 წლის პლაკატზე. პლაკატი მიეძღვნა „ბუნების ტრანსფორმაციის დიდ გეგმას.“

პლაკატი: picture alliance / CPA Media / Pictures From History

თვისთნასწავლი ბიოლოგი ტროფიმ ლისენკო - სტალინის რჩეული 1930-იანი წლებიდან მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში განაგებს საბჭოურ ბიოლოგიას. მარცვლეული კულტურების მოშენებასთან დაკავშირებულ ლისენკოს თეზისებს კატასტროფული შედეგები მოაქვს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ფოტო: SZ Photo / Rue des Archives / CCI

ძველი და ახალი ადამიანი - დიდი ექსპერიმენტი

ოტო გრიბელის ნახატზე „ინტერნაციონალი“ (1928/30 წწ.) ასახულია ყველა ეროვნების მომღერალი მუშა. პარიზის კომუნის დროინდელი იმავე სახელწოდების ეს საბრძოლო სიმღერა იქცევა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ჰიმნად.

ფოტო: გერმანიის ისტორიული მუზეუმი, ბერლინი/ A. Psille

კომუნისტებს ამოძრავებთ უკიდეგანო ზიზღი „ძველი საზოგადოების“ წარმომადგენლების მიმართ, იქნებიან ესენი არისტოკრატები, სამხედროები, მოხელეები თუ სასულიერო პირები; თანამედროვე „ბურჟუები“: ვაჭრები, ბანკირები თუ „მცირე ბურჟუაზიის წარმომადგენლები“, „ბურჟუაზიული ინტელიგენცია“, ლიბერალები, სოციალ-დემოკრატები თუ შეძლებული გლეხები (ე.წ. კულაკები). ისინი, მათი აზრით, „პარაზიტები“ და „სოციალური მტრები“ არიან, ანუ „ძველები“, რომლებისგანაც უნდა გაიწმინდოს საზოგადოება.

ამ „ძველების“ ადგილი უნდა დაიკავონ ანდროგინულმა „ახლებმა“ ჯანმრთელი სხეულითა და გაწვრთნილი გონებით, განვითარების უსასრულოდ დიდი პოტენციალით მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სფეროებში. იმ დროისათვის ადამიანის ასეთი სახასიათო იდეალი ანუ „ადამიანი - მასალა“, რომელიც მიისაწრაფვის გაუმჯობესებისაკენ, უკიდურესად ექსტრემალური სახით ვლინდება სწორედ კომუნიზმის პერიოდში.

„კლასობრივი ცნობიერების მქონე პროლეტარების“ ნაკლებობის გამო კომუნისტები მთელ იმედებს ბავშვებსა და მოზარდ-ახალგაზრდებზე ამყარებენ, ვინაიდან მათი ენერგია და ცოდნის წყურვილი, მსხვერპლის გაღებისათვის მაღალი მზაობა და წინსვლის სურვილი აადვილებს მათ გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის. შესაბამისად, სულ მალე, კომუნიზმის რეჟიმს, მათს ადმინისტრაციულ პროპაგანდასა და რეპრესიულ აპარატებს ყველაგან ზურგს უმაგრებენ ახალგაზრდა, ბეჯითი და მონდომებული კარიერისტები.

კომუნისტური ინტერნაციონალის დამფუძნებელი კონგრესი 1919 წლის მარტში მოსკოვში, რომელშიც მონაწილეობდა 29 ქვეყნის 51 დელეგატი, ეწევა „ბურჟუაზიულ სახელმწიფო მანქანასთან შეჯახებას/ დაპირისპირებას ღია ბრძოლაში“.

ფოტო: picture alliance / United Archives / WHA

კარლ რადეკი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ბერლინში (1920 წ.). იგი იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის თანადამფუძნებელი, საერთაშორისო რევოლუციონერის პროტოტიპი. 1938 წელს იგი გაასამართლეს მოსკოვის ერთ-ერთ საჩვენებელ სადამსჯელო პროცესზე და მიუსაჯეს დახვრეტა.

ფოტო: picture alliance / akg-images

მისალოცი ბარათი ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით (ციურიხი, 1923 წ.). 1919 წელს დაფუძნებული კომუნისტური ახალგაზრდული ინტერნაციონალი აერთიანებს კომუნისტური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. მსგავსი ორგანიზაციები იქმნება ასევე პროფკავშირებისა და ქალთა კავშირებისთვისაც.

ფოტო: შვეიცარიის სოციალური არქივი.

კომინტერნის კადრების „სამჭედლო“: სურათზე გამოსახულია ვიეტნამის მომავალი პრეზიდენტი ჰო ში მინი (მარცხნიდან მესამე) მეხუთე მსოფლიო კონგრესზე მოსკოვში 1924 წელს. კონსპირაციის გამო რამდენიმე ადამიანი სურათზე მალავს სახეს.

ფოტო: picture alliance / akg-images

კომინტერნის მეშვიდე მსოფლიო კონგრესი, 1935 წლის ზაფხული. მას შემდეგ, რაც გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტებმა გაიმარჯვეს და დაამარცხეს გერმანიის კომუნისტური პარტია, ეს მსოფლიო ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლიდან გადადის ანტიფაშისტური „სახალხო ფრონტის“ პოლიტიკის გატარებაზე.

ფოტო: SZ Photo

ბოსტონი, აშშ, 1930 წლის პირველი მაისი. დემონსტრანტები ითხოვენ 35 საათიანი სამუშაო კვირის დაწესებას. ისმის მოწოდებები აშშ-ის კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებასა და საბჭოთა კავშირის დაცვასთან დაკავშირდებით.

ფოტო: SZ Photo/Scher

დიდი ილუზია - კომუნისტები და მუშათა კლასი

1929 წლისა ელ ლისიცკის მიერ „რუსული გამოფენისთვის“ შექმნილი კატალოგის ყდაზე გამოსახული „ანდროგინი ადამიანები“. ახალი ხელოვნების მუზეუმი, ციურიხი. გადაღებულია 2013 წელს მომას გამოფენაზე ნიუ იორკში.

ფოტო: picture alliance / Sergi Reboredo

თავდაპირველი ჩანაფიქრით, კომუნიზმს უნდა „გაეთავისუფლებინა“ ინდუსტრიული პროლეტარიატი (მუშათა კლასი) და თავადაც „მუშათა საქმიანობად“ უნდა ქცეულიყო. მაგრამ კომუნიზმი ვერასდროს მოიპოვებს ძალაუფლებას „პროლეტარული კლასობრივი ბრძოლით“ და მხოლოდ ძალიან იშვიათად პოულობს საიმედო საყრდენს მუშათა კლასში. პროფკავშირები და დასაქმებულთა საბჭოები ინდუსტრიულსა და განვითარებად ქვეყნებში კვლავ განიცდიან სოციალისტების, სოციალ-დემოკრატებისა და სხვა ჯგუფების გავლენას.

იმ კომუნისტურ სახელმწიფოებში მუშებს, სადაც ისინი ვითომდა „გაბატონებულ კლასს“ წარმოადგენენ, ჩამორთმეული აქვთ არა მხოლოდ პოლიტიკური უფლებები. ისინი ასევე მოკლებულნი არიან თვითორგანიზებისა და საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. უდავოა, რომ ახალგაზრდა მუშას პარტია და სახელმწიფო გარკვეულ გზებს უხსნის სოციალური აღმავლობისაკენ. თუმცა, ძალაუფლების მქონე კომუნისტური ელიტის უმრავლესობა მაინც პროლეტარიზებული გლეხობიდან, წვრილი ბურჟუებიდან და განათლებული წრეებიდანაა.

საბოლოოდ, პარტიის ბიუროკრატია და მმართველი ელიტა კომპლექტდება საკუთარი აღზრდილებით. მათი მეშვეობით ისინი საბოლოოდ ყალიბდებიან „ახალ კლასად“. მათ წინააღმდეგ ომის შემდგომ პერიოდში სწორედ ყველაზე აქტიურად მუშები გამოდიან.

„ბურჟუები“ პეტროგრადში წითელი არმიის წევრების მეთვალყურეობით ასუფთავებენ თოვლს.

ფოტო: picture alliance / RIA Nowosti

მწერალი მაქსიმ გორკი სტუმრობს საბჭოთა პედაგოგ ანტონ მაკარენკოს მიერ ბოლშევოში დაარსებულ მუშათა კომუნას, სადაც გზასაცდენილი და კრიმინალი ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ „ყოველმხრივ განვითარებულ პიროვნებებად“.

ფოტო, 1929: AKG704895

პლაკატი მოუწოდებს ახალგაზრდებს მობილიზაციისაკენ, რათა მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციების შეხვედრაში მოსკოვში 1938 წელს. მასზე გამოსახულია ყველა საბჭოთა ეროვნების ახალგაზრდა კომუნისტები.

პლაკატი: picture alliance / akg-images



კარიკატურა: „ყოფილი//წარსულის ადამიანები“ - აზნაურები, სამხედროები, კაპიტალისტები და მოქალაქეები ,პროლეტარისტული დიქტატურის ცოცხითა და აქანდაზით „მოხვეტილები“, რომლებსაც ყრიან „ისტორიის ნაგავსაყრელზე“. კარიკატურა 1935 წლის 22 მარტის გაზეთ “ Ленинградская Правда"-ში.

ფრანგი ბავშვები საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ღონისძიებაზე პარიზში 1936 წელს, „სახალხო ფრონტის“ მთავრობის დროს.

ფოტო: picture alliance / dpa-Zb

„კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო კონფერენციაზე“ გადაღებული ჯგუფური ფოტო. მოსკოვი, 1969 წელი. რამდენადაც ფართოვდება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა, იმდენადვე იზრდება მასში ბიუროკრატიულ ფუნქციონერთა რიცხვი.

ფოტო: Schweizerisches Sozialarchiv, Sozarch_F_5076-Fe-002

დიადი გეგმა - ინდუსტრიალიზაცია კოლექტივიზაციის მეშვეობით

ერთ-ერთი მუშა პოლონურ მალკინია გორნას ცემენტის ქარხანაში (1976 წ.) , რომელიც ამუშავებს კიბოს გამომწვევ აზბესტს. მიუხედავად საპირისპირო განცხადებებისა, აღმოსავლეთ ქვეყნების ბლოკში მძიმე სამუშაოები ხშირად სათანადო დამცავი ღონისძიებების გარეშე წარმოებს.

ფოტო: SZ Photo / Forum

1929/30 წლების „დიდი გარდატეხა“ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ძალდატანებითი კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, ემთხვევა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს.

ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი კავშირის არარსებობის მიუხედავად, მოსკოვს პროპაგანდისტული, ეკონომიკური და დიპლომატიური საქმიანობის წარმართვის ფართო ასპარეზი ეხსნება. განსაკუთრებით კი გერმანული და ამერიკული ფირმები იბრძვიან „რუსული შეკვეთებისთვის“. ამ ტენდენციისგან განსხვავებით, დასავლეთის კომუნისტები უკიდურესად მოკლებულნი არიან ასეთ კავშირებს და ამაოდ იხარჯებიან ქუჩის ერთგვარ სექტანტურ ბრძოლებსა და გაფიცვებში.

სინამდვილეში „სოციალისტური აღმშენებლობა“ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს მუშათა კლასის სრული ექსპლუატაციის ხარჯზე. ნელ-ნელა იშლება ზღვარი ანაზღაურებულსა და იძულებით შრომას შორის. წარმატებათა ტრიუმფული მაჩვენებლები ეჭვქვეშ დგება; ახალი ინდუსტრიული კომპლექსები ხშირად წააგავს გაუდაბნოებულ სოციალური გარემოში აღმართულ ტაძრებს. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია კი სრულდება უპრეცენდენტო შიმშილით, კატასტროფით, რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა.

რაც უფრო უარესდება ყოფა, მით უფრო მძლავრობს პროპაგანდაში მითი „კარგი ცხოვრების“ შესახებ „ყველა მშრომელის სამშობლოში“.

50-იან წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაიმეორებს ამ ექსპერიმენტს კიდევ უფრო ექსტრემალური სახით: „დიდი ნახტომი წინ“.

„მუშებო! აირჩიეთ თქვენი პარტია! სოციალ-დემოკრატიული პარტია! “ 1924 წლის საარჩევნო პლაკატი. ისევე, როგორც თითქმის ყველა განვითარებულ სახელმწიფოში, გერმანიაშიც სოციალ-დემოკრატებს მეტი მომხრე ჰყავთ მუშათა კლასში, ვიდრე კომუნისტებს.

პლაკატი: AdsD FES / Georg Wilke

უკრაინელი გლეხები პოლიტიკურ კრებაზე, (1929 წლის აგვისტო) . ერთ წელიწადში იწყება იძულებითი კოლექტივიზაცია, რისი შედეგიცაა გლეხების გაერთიანება კოლმეურნეობებში და უკვე სამი წლის შემდეგ მილიონობით ადამიანის შიმშილით სიკვდილი.

ფოტო: picture alliance / RIA Nowosti

1957 წელს დასავლეთში გამოდის წიგნი „ახალი კლასი“, რომლის ავტორია 1956 წელს დაპატიმრებული იუგოსლავური კომუნისტური პარტიის ლიდერი მილოვან დილასი. ის თავის წიგნში იკვლევს ნომენკლატურულ, ანუ ახალ კომუნისტურ ფუნქციონერთა ფენას.

ყდა: Kindler, München 1957

კამპანიით „დიდი ნახტომი წინ“ ჩინეთს სურს 1958-1961 წლებში „შიშველი ხელებით“ დაეწიოს საბჭოთა კავშირს და დასავლეთის ინდუსტრიულ სახელმწიფოებს. დაუთარიღებელ ფოტოზე აღბეჭდილია მუშები, რომლების დიდ ტვირთს ეზიდებიან.

ფოტო: picture alliance / CPA Media / Pictures From History

ფოლადის მწარმოებელი ქარხანა დონბასში (დღევანდელი დონეცკი, უკრაინა, 1935 წლის აგვისტო). მეშახტე ალექსეი სტახანოვი თავის სამუშაო გეგმას თითქმის 13-ჯერ აჭარბებს. საბჭოურმა პროპაგანდამ მისი სახელი უწოდა მთელ საწარმოო მოძრაობას. ეს პროპაგანდისტული კამპანია აიტაცა ყველა კომუნისტურმა რეჟიმმა.

ფოტო: picture alliance / RIA Nowosti

მუშები, რომლებიც კოლექტიურად, ძალითა და ცოდნით აღჭურვილები უმკლავდებიან ყველანაირ სამუშაო გეგმას, წარმოადგენენ კომუნისტურ სახელმწიფოებში ყველაზე მოთხოვნად სიუჟეტს დაკვეთილ ნამუშევრებში.

ჩრდილო-კორეული პროპაგანდისტული ნამუშევარი. ფოტო გადაღებულია 2012 წელს ოლაფ შულკეს მიერ: SZ Photo

1931 წლის საბჭოთა კავშირის რუკა. ქვემოთ განთავსებულ ტექსტში წერია: „ის განსხვავდება ძველი რუკებისგან. ხუთ-წლიანი გეგმა იწყებს მოქმედებას (...) რუკაზე საერთოდ არაა დატანილი ასობით მასშტაბური სამშენებლო ობიექტი (...)“.

ფოტო: მოსკოვის მემორიალის არქივი.

დეტროიტი, აშშ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი: მამაკაცი ეძებს სამუშაოს. 1929 წლიდან დასავლეთის ინდუსტრიულ სახელმწიფოებში მასობრივი უმუშევრობაა. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აღარ ენდობა ეკონომიკის კაპიტალისტური მოდელს.

დაუთარიღებელი ფოტო: picture alliance / akg-images

არხის ამოვსება 1931-1933 წლებში პრიმიტიული ხელსაწყოებით. იძულებით სამუშაოში ჩართულია ათიათასობით ადამიანი. გულაგის კოლონია იქცევა მუშახელის რეზერვუარად ყველა მასშტაბური საბჭოთა პროექტისთვის.

ფოტო: ზაფხული 1932: wikipedia / Kl833x9~commonswiki

„ფოლადის ყოველთვიური ნაწარმი“: საბჭოური ღია ბარათი (1930 წ.) გეგმიური ეკონომიკა წინ უსწრებს მომაკვდავ კაპიტალიზმს.

ფოტო: The Wolfsonian – Florida International University (Miami, Florida)



მაგნიტოგორსკი - პირველი ხუთწლედის გეგმის შესაბამისად არაფრიდან აღმოცენებული და დასავლური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქალაქი იქცევა რკინისა და ფოლადის მწარმოებელ მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ქალაქად და საბჭოთა ინდუსტრიული პოლიტიკის სიმბოლოდ.

დაუთარიღებელი ფოტო: picture alliance / akg-images

„გავანადგურეთ კულაკები, როგორც კლასი“, 1930 წლის პლაკატი. კოლექტივიზაციის პოლიტიკის წარმმართველია ბრძოლა დამოუკიდებელი გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოდგენილნი არიან, როგორც სისხლისმწოველები და მაიმუნის მსგავსი ნახევრად ადამიანები.

პლაკატი: picture alliance / CPA Media Co. Ltd

გდრ-ის 1952 წლის პლაკატი, მიძღვნილი „კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობებისადმი“. ამ აღმშენებლობამ უნდა დაადასტუროს საბჭოური გზის უპირატესობა სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

პლაკატი: picture alliance / akg-images

დიდი ტერორი - ოცნება საბოლოო წმენდაზე

არქიპელაგი გულაგი (1989 წ.). „პერესტროიკისა და გლასნოსტის“ დროს საბჭოთა კავშირის რუკაზე ხდება ყველა იმ „გულაგის“, კოლონიისა თუ ბანაკის დატანა, რომლებიც არსებობდა საბჭოთა კავშირში 1920-იანი წლებიდან.

ფოტო: picture alliance / akg-images

ყველა მტრისა და „პარაზიტის“ სოციალური, პოლიტიკური და ფიზიკური ლიკვიდაცია კომუნისტური მმართველობის სტრუქტურული ელემენტია, რომელიც მისი პროპაგანდისა და ხელოვნების საშუალებით განდიდებულია როგორც „გმირული შემართება“...

მას შემდეგ, როცა ყველა ფაქტობრივი და პოტენციური მოწინააღმდეგე გაუვნებელყოფილია, ტერორის არეალი ფართოვდება და მისი მსხვერპლი ხდება ე.წ. ხალხის მტრების ახალ-ახალი კატეგორიები. საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი ყველა სახის დამოუკიდებელ აზროვნებასა და ქმედებას დანაშაულად მიიჩნევს და ამისთვის უმკაცრესად სჯის. აღნიშნული კანონი სამართლებრივ საფუძველს ქმნის მასობრივი იძულებითი შრომის, ხალხთა დიდი ჯგუფების დეპორტაციისა და სიკვდილით დასჯის არამართლზომიერი გამოყენებისათვის. პირადად სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი 30-იანი წლების „დიდი ტერორი“, ასიათასობით დახვრეტილი ადამიანითა და მილიონობით გადასახლებული პატიმრით, ტოლფასია ხალხების განადგურებისა.

ისტორიულად უპრეცენდენტოა ასევე „წმენდები“, რომლებსაც, რაღაც სახით მაინც, სისტემატურად ტარდებოდა ყველა კომუნისტურ პარტიასა და მათს აპარატებში. ამაში მოიაზრება საჩვენებელი სადამსჯელო პროცესები და „დადგმული“ მართლმსაჯულება, ურთიერთცილისწამება და გადასახლებები, ერთმანეთის დასმენა და მაზოხისტური თვითკრიტიკა. თუ როგორ ფუნქციონირებდა „ტერორი“, როგორც პოლიტიკის გატარების ყოველდღიური ინსტრუმენტი და როგორ განსაზღვრავდა ადამიანების ყოველდღიურ ფსიქიკურ მდგომარეობას, მეტწილად შეუცნობელია.

„გაანადგურეთ ხალხის სამარცხვინო მტერი ტროცკი და მისი სისხლიანი ფაშისტური ბანდა აღგავეთ პირისაგან მიწისა“. პლაკატი, (1937 წ.). საბჭოთა კავშირი, დიდი ტერორის კულმინაცია.

პლაკატი: picture alliance / Heritage Images



პროცესი რუდოლფ სლანსკისა და ჩეხეთის კომუნისტური პარტიის კიდევ 13 ლიდერის წინააღმდეგ (1952 წლის ნოემბერში) არის ჯერ კიდევ 1949 წელს უნგრეთში დაწყებული საჩვენებელი სადამსჯელო პროცესების გაგრძელება. ის ემსახურება აღმოსავლეთ ბლოკში შემავალი ქვეყნების პარტიების „წმენდასა“ და მათს „სტანდარტიზაციას“.

ფოტო: SZ Photo / Rue des Archives / Tallandier

ალექსეი ჟელტიკოვი, დაბადებული 1890 წელს, მჭედელი, დახვრიტეს 1937 წლის პირველ ნოემბერს. 700.000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა დიდ ტერორს 1936-1938 წლებში საბჭოთა კავშირში. ფოტო გადაღებულია ჟელტიკოვის დახვრეტის წინ.

ფოტო: მოსკოვის მემორიალის არქივი.

ქარხნის მუშების ერთ-ერთ კრებაზე 1936 წელს, მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა ზინოვიევის, კამენევისა და სხვათა საჩვენებელი სადამსჯელო პროცესები, მუშებმა ხელი უნდა მოაწერონ მოთხოვნას „ტროცკი-ზინოვიევის მკვლელთა ბანდის, ტერორისტების“ სიკვდილით დასჯის შესახებ.

ფოტო: picture alliance / dpa

ნიკიტა ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1956 წლის 14 თებერვლის ყრილობაზე. ათი დღის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის მეთაური საიდუმლო სიტყვით გამოდის სტალინის დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ.

ფოტო: picture alliance / RIA Nowosti

სადიდებელი ოდები - ბელადის კულტი და საგმირო მითები

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი თავის „ყველაზე ერთგულ მოსწავლესთან“ - იოსებ ბესარიონის ძე სტალინთან კონფიდენციური საუბრისას. მინსკი-მოსკოვის ავტობანზე განთავსებული ძეგლი.

ფოტო, 1950: SZ Photo

კომუნიზმი იზიდავს მთელი მსოფლიოს ხელოვანებსა და ინტელექტუალებს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვალსაჩინო პოეტები კომუნისტური მოძრაობების ლიდერებს უძღვნიან ჰიმნებსა და სადიდებელ ოდებს, დაწყებული ლენინით, სტალინითა და მაოთი, დამთავრებული უფრო პატარა „ღმერთებით“, როგორებიც იყვნენ ტიტო, კიმ ირ სენი, ენვერ ხოჯა ან ფიდელ კასტრო.

ეს მრავალენოვანი „დიადი საგალობლები“ ლიტერატურის ისტორიაში იქცა სიამოვნებით მივიწყებულ ტომებად. იგივე უნდა ითქვას იმ ურიცხვ ქანდაკებაზე, ნახატზე, პლაკატზე, ფილმზე, ფოტოზე, სიმღერასა და მუსიკალურ კომპოზიციაზე, რომლებიც უკვდავყოფდნენ კომუნისტ ბელადებსა და ლიდერებს. „სოციალური რეალიზმით“ ნაკარნახევი სტილი, არცთუ ისე იშვიათად, მოიცავს და აერთიანებს ფოლკლორულსა და კლასიკურ მოტივებსაც, ასევე ხელოვნების ულტრათანამედროვე და საკმაოდ რაფინირებულ ჟანრებსა და სტილს.

1956 წელს, სკკპ-ის (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის) მეოცე ყრილობაზე „პიროვნების კულტის“ დაგმობით ნიკიტა ხრუშჩოვი კომუნისტური პარტიის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას სტალინს აკისრებს. იმავდროულად, ჩინეთში საფუძველი ეყრება მაოს კულტს, რაც დროდადრო გაუგონარ კულმინაციებს აღწევს ადამიანის კერპად ქცევის ისტორიაში. 1968 წლიდან დასავლეთში „ახალი მემარცხენეებიც“ საკუთარი ინიციატივით პოსტმოდერნისტულ ყაიდაზე ქმნიან თავიანთ კერპებს, რომლებიც ნაწილობრივ დღესაც გვხვდება პოპკულტურაში.

1935 წელს ამერიკულ გაზეთ „Daily Herald“-ში ჩნდება კარიკატურა სტალინის კულტის შესახებ, რომელიც გავრცელებული იყო მსოფლიოს კომუნისტურ ქვეყნებში.

ფაქსიმილე: SZ Photo /National Media Museum / SSPL

სტალინისა და ლენინის სახელობის გუნდის გამოსვლა ოქტომბრის რევოლუციის 30-ე იუბილეადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე.

ფოტო, ევგენი ჩალდეის, მოსკოვი, 1947წ.: picture alliance / ZB

შუშის მჭრელი ამუშავებს ლარნაკს, რომელზეც გამოსახულია სტალინის პორტრეტი. მონუმენტური ფოტო გადაღებულია ჩეხოსლოვაკიის კამენიცკი შენოვის შუშის სახელოსნოში (1949 წ.).

ფოტო: SZ Photo / Alexandr Hampl / CTK Photobank

„ვისწავლოთ ამხანაგ ლეი ფენგისგან“, - ასე ჰქვია 1963 წელს დაწყებულ მაოისტურ კამპანიას, რომელიც „ეროვნული თავგანწირვის ნიმუშად“ შერაცხავს ახალგაზრდა ტანმორჩილ სამხედროს, რომელმაც უპირობოდ შესწირა თავი სამშობლოს. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ჩინეთს უბრუნდება ლეი ფენგის კულტი.

ფოტო, შენიანგი, 2012: picture alliance / dpa

„ხალხი-პარტია-ენვერი“: ალბანეთის სახელმწიფოსა და პარტიის მეთაური ენვერ ხოჯა, როგორც თავისი ბედნიერი ხალხის მასწავლებელი. სტალინისტი ხოჯა 1961 წელს კავშირს წყვეტს საბჭოთა კავშირთან და დროებით ჩინეთის მოკავშირე ხდება.

ფოტო: picture alliance / CPA Media Co. Ltd (289)

ფაშიზმი და ანტი-ფაშიზმი - სასიკვდილო თამაში



მსოფლიო გამოფენა პარიზში (1937 წ.). გერმანიის რაიხისა (მარცხნივ) და საბჭოთა კავშირის (მარჯვნივ) პავილიონები დგას ერთმანეთის პირისპირ. ისინი არქიტექტურისთვის დაიმსახურებენ ოქროს მედლებს.

ფოტო ფერადოვენი რეტუშირებით: SZ Photo / Rue des Archives / CCI

„ანტიფაშიზმის“ მიღმა, რომელიც 1945 წლის შემდეგ კომუნისტური რეჟიმების მთავარი ლეგიტიმაციად იქცა, ორი ათწლეულის განმავლობაში იმალება „სასიკვდილო თამაშები“ როგორც მოსალოდნელ ფაშისტურ, ასევე ყველა სახის ნაციონალისტურ მოძრაობასთან. იმავდროულად, კომუნისტები ყველა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს „ფაშისტებად“ მოიხსენიებენ, იქნებიან ეს სოციალიზმის მოწინააღმდეგენი, „ეკლესიური“ თუ „ნაციონალისტი“ ფაშისტები. ამ გზით ისინი ქმნიან , ხატავენ ღამეს, სადაც ყველა კატა შავია.

30-იანი წლების ტერორისტული „წმენდების“ მთავარი სამიზნედ ხდებიან „ტროცკისტები“, რომლებიც ცხადდებიან მსოფლიო ფაშიზმის მწვერვალად. ამასთანავე, სტალინური ზიზღის ენა „იუდა ტროცკის“ მიმართ ზუსტად იმეორებს ნაციონალ-სოციალისტების მიერ შექმნილი „ებრაული ბოლშევიზმის“ მტრის ხატის რიტორიკას. ეს ყველაფერი ამწვავებს ქაოსს მსოფლიოში. მორიგი მსოფლიო ომის გარიჟრაჟზე საბჭოთა კავშირი ყველაფრისთვის მზადაა, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

აქედან გამომდინარე, ჰიტლერისა და სტალინის პაქტი (1939 წლის აგვისტო) არც ბერლინსა და არც მოსკოვში განსაკუთრებულ იდეოლოგიურ დაბრკოლებებს არ წაწყდომია. სტალინის ფარული მითითების შესაბამისად, ჰიტლერმა, თავდაპირველად, დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო იმპერიალიზმის დასუსტებაში. ასეთი მსოფლიო-პოლიტიკური ვაბანკი 1941 წლის ივნისში ცუდად უტრიალდება საბჭოეთს, როდესაც გერმანიის ვერმახტი მოულოდნელად სასტიკად უსწორდება წითელ არმიას.

ახალგაზრდა კომუნისტთა ჯგუფის დემონსტრაცია ბერლინში 1920 წელს მოუწოდებს ყველას „სოციალური ფაშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისკენ. 1930-იანი წლებამდე სოციალ-დემოკრატია ითვლება კომუნიზმის მთავარ მტრად.

ფოტო: picture alliance / akg-images

1937 წლის მაისში ფრანგული პლაკატი ყველა ანტიფაშისტს მოუწოდებს ესპანეთის რესპუბლიკის მიმართ სოლიდარობისკენ. პლაკატის ინიციატორები არიან ანარქო-სინდიკალისტები, რომლებსაც ესპანეთში სისხლიანი მეთოდებით უსწორდებიან საბჭოთა უშიშროების სამსახურის აგენტები.

პლაკატი: SZ Photo / Rue des Archives / Tallandier

1939 წლის 20 სექტემბერს ბრიტანული „Evening Standard"-ი აქვეყნებს დევიდ ლოუს კარიკატურას, რომელშიც ჰიტლერი და სტალინი ერთმანეთს ესალმებიან პოლონეთის ცხედართან შემდეგი ტექსტით: „შენა ხარ კაცობრიობის ხორცმეტი ხომ, როგორც ვვარაუდობ?" – „შენ კი - მუშათა სისხლიანი მკვლელი ჩემი შეფასებით?"

1939 წლის სექტემბერში აშშ-ის კომუნისტური პარტია ლინკოლნის უზარმაზარი პორტრეტთან ფიცს დებს შემდეგი საკითხების ერთგულებაზე: „სამუშაო, უსაფრთხოება, დემოკრატია" და, ასევე მეგობრობაზე საბჭოთა კავშირთან. ეს არის სახალხო ფრონტის პოლიტიკის დრო. ევროპაში კი უკვე დაწყებულია მეორე მსოფლიო ომი.

ფოტო: www.reddit.com / N. N.

1937 წლის ტერორის მრავალ კარიკატურათაგან ერთ-ერთი : „იუდა" ტროცკი უბრძანებს ძველ ბოლშევიკებს-პიატაკოვს, რადეკს, სოკოლნიკოვს ნაცისტური ჩექმის კოცნას.

ფაქსიმილე: Moscow News *(მოსკოვის სიახლეები)*, თებერვალი 3–10, 1937, გვ. 15 / http://schauprozesse.phil.hhu.de

მარგარიტა ბუბერ-ნოიმანი ემილ კარლებახის წინააღმდეგ მაინის ფრანკფურტის სასამართლოში (1951 წლის იანვარი). გერმანიის კომუნისტური პარტიის ფუნქციონერმა სიცრუედ მიიჩნია მისი მოგონებების წიგნი, რომელშიც ემილ კარლებახი აღწერს საბჭოთა ემიგრაციიდან მის დეპორტაციას ნაცისტურ გერმანიაში. 1939 წლის შემოდგომა..

ფოტო: SZ Photo / UPI

ელბადან იანძიმდე - სოციალისტური მსოფლიო ბანაკის დაბადება

ახალი სოციალისტური მსოფლიო ბანაკის ლიდერების ჯგუფური ფოტო სტალინის დაბადების 70-ე იუბილეზე (1949 წლის 21 დეკემბერი ,მოსკოვი). სტალინის მარცხნივ დგას მაო ძედუნი, მის უკან მარჯვნივ - ვალტერ ულბრიხტი - ახალდაფუძნებული გდრ-ის ძლიერი ხელი.

ფოტო: picture alliance / akg-images

თუ პირველი მსოფლიო ომი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დასაბამი გახდა, მეორე მსოფლიო ომმა კომუნისტური გავლენის ელბადან იანძიმდე გავრცელებას შეუწყო ხელი.

მას შემდეგ, რაც სტალინის რეჟიმმა „დიდ სამამულო ომში“ წარმატებით მოახერხა პატრიოტული გრძნობების მობილიზება და მოიპოვა შიდა ლეგიტიმაცია, ის, როგორც გერმანიის მთავარი დამმარცხებელი, 1945 წელს სარგებლობს სინამდვილეში დაუმსახურებელი საერთაშორისო პატივისცემით.

1949 წლამდე ყალიბდება სოციალისტური მსოფლიო ბანაკი, რომელიც მოიცავს ევროპაში მოსკოვის მიერ სამხედრო ძალით მოპოვებული გავლენის სფეროებს. აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის „სახალხო დემოკრატიები“ კონტურებს იძენს პოლიტიკური ძალადობისა და ტერორის გამოყენებით, რომლებიც შემდგომ მიმართულია ახალი წესრიგის მოწინააღმდეგეების, ხოლო მოგვიანებით - თავად ამ ქვეყნების პარტიების წინააღმდეგ. დღის წესრიგში დგება საჩვენებელი სადამსჯელო პროცესების გამართვა და წმენდის ჩატარება. ტიტოს იუგოსლავია, რომელმაც 1948 წელს ზურგი აქცია მოსკოვს, დაუშვებელია, გახდეს მისაბაძი მაგალითი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1953 წ.), უნგრეთსა და პოლონეთში (1956 წ.) მიმდინარე სახალხო აჯანყებებმა აჩვენა, თუ რამდენად არამყარ ნიადაგზე დგას ხსენებული დიქტატურები. ამ აჯანყებათა შეიარაღებული ჩახშობა საბჭოთა „მეგობრების“ მიერ განაპირობებს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნას, რომელიც რკინის ფარდის მეშვეობით სულ უფრო და უფრო შორდება დასავლეთ ევროპას.

მე-20 საუკუნის ხატი: 1945 წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარისკაცი მელიტონ ქანთარია ფოტოგრაფ ევგენი ხალდეისთვის გაითამაშებს ბერლინის რაიხსტაგზე საბჭოთა დროშის აღმართვის სცენას.

ფოტო: SZ Photo / dpa

საფრანგეთის სახალხო კრების არჩევნებში 1945 წლის 21 ოქტომბერს საფრანგეთის კომუნისტური პარტია იღებს ხმათა 26 პროცენტს და ხდება ყველაზე ძლიერი ფრაქცია.

ფოტო: picture alliance / akg-images / Paul Almasy

საბერძნეთის სამთავრობო დანაყოფებს მიჰყავთ 1949 წელს სალონიკში დაპატიმრებული კომუნისტი პარტიზანები, მათ შორის, ახალგაზრდა ქალები. 1946 წლიდან საბერძნეთში სამოქალაქო ომია. ამასთან, კომუნისტებს მხარს უჭერს ტიტოს იუგოსლავია.

ფოტო: SZ Photo / ap / dpa / picture alliance

კომუნისტური სახალხო მილიცია 1948 წლის 28 თებერვალს, პრაღაში, კარლსბრიუკეზე, მარშით ჩაივლის. წინა დღეებში ჩეხოსლოვაკიაში მოხდა მოსკოვის მიერ ნაკარნახევი სახელმწიფო გადატრიალება.

ფოტო: SZ Photo / CTK Photobank

1948 წლის ივნისში მოსკოვი თავის ძალებს მოსინჯავს ევროპაში: ის თითქმის ერთი წლის განმავლობაში ახდენს დასავლეთ-ბერლინის მისადგომი გზების ბლოკირებას. ნახევარი ქალაქს ამ პერიოდში დასავლეთის საჰაერო გზით მიეწოდება საკვები. აეროპორტ „ტემპელჰოფის“.

ფოტო, 1948 წლის 6 ივლისი: picture alliance / akg-images

საჯარო შეკრება პეკინში, 1949 წლის 5 თებერვალი „სახალხო გამათავისუფლებელი არმიის“ პეკინში შესვლიდან რამდენიმე დღეში. პირველ ოქტომბერს მაო ჩინეთს აცხადებს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკად“. დედამიწის ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა კომუნისტური ხდება.

ფოტო: picture alliance / AP Photo

კომუნისტურ რეჟიმებს აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში ძალისმიერი გზით უწევთ დამკვიდრება. გდრ-ში 1953 წლის აჯანყებისა და უნგრეთში 1956 წლის ბუნტის ჩახშობა მხოლოდ საბჭოთა არმიის დახმარებით ხერხდება.

ფოტო: აღმოსავლეთი ბერლინი, 1953 წლის 17 ივნისი: Bundesregierung / Perlia-Archiv *(ფედერალური მთავრობა/პერლიას არქივი)*

„აღმოსავლეთის ქარი დასავლეთისას დამარცხებს“ - აზია როგორც შტორმის ეპიცენტრი

1953 წლის ივლისის დასასრულ ჩრდილოკორეელი და ჩინელი ჯარისკაცები აღნიშნავენ კორეის ომში მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მათგანს არ მიუღწევია თავისი მიზნისთვის, ისინი თავს მაინც დასავლეთის სახედრო შესაძლებლობების თანაზომიერად მიიჩნევენ.

ფოტო: : picture alliance / United Archives / TopFoto

ბერლინის ბლოკადა 1948 წელს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომის დასაწყისია. გლობალური დაპირისპირებების ეპიცენტრად კი აზია იქცა.

იქ დამარცხებულმა იაპონელმა დამპყრობლებმა დატოვეს ერთგვარი ვაკუუმი, რასაც სათავისოდ იყენებს პატრიოტული საპროტესტო მოძრაობები. მათ შორის, ძირითადად, კომუნისტები დომინირებენ. 1945 წელს ისინი ახერხებენ ვიეტნამისა და კორეის ჩრდილოეთი ნაწილების გაკონტროლებას.

1949 წლის ოქტომბერში ჩინელი კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ვითარებას ძირეულად ცვლის. 1950 წელს ჩრდილოეთ კორეის თავდასხმა სამხრეთზე სწრაფად გადაიზრდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის სამხედრო დაპირისპირებაში, რომელიც 1953 წელს პაქტით დასრულდება.

ჩრდილოეთ ვიეტნამელების გამარჯვება ფრანგებზე ქალაქ დიენ ბიენ ფუში 1954 წელს ცვლის მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტურას და სრულდება თითქმის ოცწლიანი ომით მთელ ინდო-ჩინეთში, ამჯერად, აშშ-ს წინააღმდეგ. 1975 წელს ამერიკის არმია გადის ამ რეგიონიდან, ტოვებს გავერანებულ ქვეყნებსა და ტრავმირებულ ხალხებს.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს, მაო ხდება მსოფლიო კომუნიზმის ახალი ქარიზმატული ლიდერი. ჩინეთის კომუნისტური პარტია პრინციპულად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მოსკოვისა და ვაშინგტონის „მშვიდობიან თანაარსებობას“ და იწვევს დიდ გარდატეხას კომუნისტურ მსოფლიო მოძრაობაში.



კორეის ომის მიმდინარეობა 1953 წლის 27 ივლისის სამშვიდობო შეთანხმებამდე.

რუკა: dpa Grafik

„დიენბიენფუ დაეცა“: 1950 წლის 8/9 მაისის პრესის მთავარი სიახლე. კომუნისტური ვიეტნიმის გამარჯვება საფრანგეთის საექსპედიციო არმიაზე ბოლო წერტილს უსვამს ინდოჩინეთში ფრანგულ კოლონიალურ მმართველობას (ამჟამინდელი ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა).

ფოტო: picture alliance / CPA Media Co. Ltd

1969 წლის გაზაფხულზე უფრო მეტად იზრდება კონფლიქტი ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლის მაჩვენებელია სასაზღვრო ბრძოლები მდინარე უსურთან. ხიშტზე წამოცმულია საბჭოთა ფოლადის ჩაფხუტი. აქვეა შემდეგი შინაარსის პროპაგანდისტული ლოზუნგი: „ძირს ახალი მეფე!“

ფოტო: picture alliance / CPA Media Co. Ltd

ე.წ. პუტჩის მცდელობის შემდეგ 1965 წლის ოქტომბერში მარცხდება ინდონეზიის კომუნისტური პარტია და იღუპება მათი 500.000 მიმდევარი.

ფოტო, ჯაკარტა, 1965 წლის 20 ოქტომბერი: picture alliance / Presens Bild

მაო ძედუნი აღმოსავლეთში ამომავალი მზის ფონზე. ლოზუნგი ჩინელი კომუნისტების უზარმაზარი ამბიციის ილუსტრირებაა: „მსოფლიოს რევოლუციურ ხალხებს თქვენ უყვარხართ!“

პლაკატი, 1969: picture alliance / dpa / imaginechina

ვიეტნამიდან ამერიკელების გასვლის შემდეგ წითელი ქხმერები იმარჯვებენ კამბოჯის სამოქალაქო ომში და 1975 წლის 17 აპრილს იკავებენ პნომპენს (ფოტო). ისინი აფუძნებენ ე.წ. ქვის ხანის კომუნიზმს , რომელიც შეიწირავს დაახლოებით ორ მილიონ ადამიანს.

ფოტო: picture alliance / AP Images

ანტიკოლონიური გამათავისუფლებელი მოძრაობები - მესამე მსოფლიოს ქიმერები

ეგვიპტის სახელმწიფო მეთაური ნასერი, ინდოეთის პრემიერი ნერუ და მათი მასპინძელი - იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი ტიტო (მარცხნიდან მარჯვნივ) 1956 წლის 20 ივლისს ბრიონიში. ისინი წამყვანი ძალაა ე.წ. მიუმხრობელთა მოძრაობისა, რომელიც 1961 წელს დაფუძნდა.

ფოტო: picture alliance / United Archives / TopFoto

კომუნისტების გამარჯვებები აღმოსავლეთ აზიაში გამბედაობას მატებს „ეროვნულ- გამათავისუფლებელ მოძრაობებს“ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში. 1966 წელს კუბაში ფიდელ კასტრო აფუძნებს „ტრიკონტინენტალს“, რომელიც მსოფლიო მასშტაბის ეროვნული და სოციალური თავისუფლების ინსტრუმენტად უნდა იქცეს.

ბოლივიაში დაღუპული არგენტინელი რევოლუციონერი ერნესტო ჩე გევარა იქცევა საყოველთაო კერპად. მისი მოძღვრებები „პარტიზანული ომის“ შესახებ ყველანაირი კაპიტალისტური ეგოიზმებისგან განწმენდის უნივერსალური საშუალება ხდება. განსაკუთრებით ლათინური ამერიკა იქცევა 70-იან წლებში შეიარაღებული ამბოხებების პოლიგონად, რაც იმდენსავე დიქტატურას წარმოშობს, რამდენსაც სპობს.

უფრო დაბალანსებულად მოქმედებს ტიტოს იუგოსლავიის მიერ თანაინიცირებული „თავისუფალი მოძრაობა“, რომლის დანიშნულებაა სოციალისტური და მემარცხენე ნაციონალისტური ქვეყნების გაერთიანება „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და მათი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა.

ანტიკოლონიურ გამათავისუფლებელ ომებში ალჟირში, კონგოში, ანგოლაში, მოზამბიკში, ზიმბაბვესა და აფრიკის სამხრეთში კომუნისტები ხშირად თამაშობენ მთავარ, ხშირად მაპოლარიზებლის, თუმცა, ზოგჯერ, ასევე დამაბალანსებლის როლს.
ისინი არც თავს არიდებენ და არც მხოლოდ თავიანთი ძალებით იწვევენ ახალ სახელმწიფოებში მიმდინარე სამოქალაქო ომებს.

„შეაჩერეთ აგრესორები!“ 1958 წლის საბჭოური პლაკატი. „სუეცის კრიზისის“ შემდეგ, 1956 წლიდან, მოსკოვს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ეგვიპტესთან და იმედოვნებს, რომ მოიპოვებს გავლენას არაბულ სამყაროზე.

ფოტო: picture alliance / CPA Media Co. Ltd

ფიდელ კასტრო, ერნესტო ჩე გევარა და მათი საბჭოთა სტუმარი ანასტას მიქოიანი 1960 წლის 4 თებერვალს ჰავანაში (მარცხნიდან მარჯვნივ). კუბის ახალი ხელმძღვანელები დახმარებას ითხოვენ. საბჭოთა რაკეტების განლაგება კუბის კრიზისის დროს იწვევს ატომური ომის საფრთხის გამწვავებას, რაც 1962 წელს კულმინაციას აღწევს.

ფოტო: picture alliance / dpa

სახელმწიფოსა და პარტიის მეთაური ვალტერ ულბრიხტი 1965 წლის 27 თებერვალს ჩნდება ლუქსორის ტაძართან. გდრ-ი სარგებლობს ეგვიპტესა და საბჭოთა კავშირთან არსებული მჭიდრო ურთიერთობით და იყენებს მათ საკუთარი დიპლომატიური იმიჯის გასაუმჯობესებლად.

ფოტო: BArch, Bild 183-D0227-0053-004 / ZB / Kohls



„ბრძოლა ალჟირისთვის“ (1966 წ.). დაჯილდოებული იტალიურ-ალჟირული მხატვრული ფილმი ასახავს ალჟირის 1956 წლის გამათავისუფლებელი მოძრაობის სისხლიანი აჯანყებას საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1971 წლამდე ფილმი აკრძალული იყო საფრანგეთში .

ფოტო: SZ Photo / RDA

კუბელი ჯარისკაცები ანგოლაში (1976 წლის იანვარი). ანგოლის სამოქალაქო ომის დროს კასტრო შეიჭრება ანგოლაში ანგოლის გამათავისუფლებელი სახალხო მოძრაობის (MPLA) მხარდასაჭერად. პლაკატზე წერია: „პარტიას, მის წესებს, პრინციპებს ... დაუმარცხებლად მივყავართ წინ“.

ფოტო: picture alliance / ASSOCIATED PRESS

ძველი და ახალი მემარცხენეები - წითელი ათწლეული

1968 წლის 17/18 თებერვლის ვიეტნამის პრობლემისადმი მიძღვნილი კონგრესი დასავლეთ ბერლინში 5.000 მონაწილით 14 სახელმწიფოდან დასავლეთ გერმანიის სტუდენტური მოძრაობის დემონსტრირებაა. მოძრაობის მთავარი ინიციატორი რუდი დუჩკე (შუაში) მძიმედ დაშავდება იმავე წლის აპრილში მასზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად.

ფოტო: SZ Photo / Manfred Vollmer

1966 წელს მაო აწყობს „კულტურულ რევოლუციას“, რომელიც არსებითად ცვლის კომუნისტური რეჟიმის სურათს. ჩინელი ახალგაზრდები მხოლოდ მოჩვენებითად სარგებლობენ თავისუფლებით. მათ შეუძლიათ საჯარო ბრალდებებითა და კრიტიკით თვითნებური გამოსვლა ბიუროკრატიის, კორუფციისა და დეკადენტიზმის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც მაოს კულტი უფრო და უფრო ექსტრემალურ სახეს იღებს. ის ახერხებს თავისი შიდა მოწინააღმდეგეების - „მოსკოვის ლაქიების“ გაუვნებელყოფას.

იმავდროულად, 60-იანი წლები მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმისა და მისი კულტურის რადიკალური კრიტიკისა და მილიტანტური ანტიიმპერიალიზმის აყვავების ხანაა. 1968 წლის ახალგაზრდების საპროტესტო „ახალი მემარცხენე მიმდინარეობის“ კულტურული ემანსიპაციისაა და თავისუფლების იდეები ხშირად პარადოქსულად თანხვდება მარქსიზმის, ლენინიზმის, ტროცკიზმისა და მაოიზმის იდეებს.

ამ ახალი მემარცხენე რადიკალიზმისა (მისთვის დამახასიათებელი ტერორისტული უკიდურესობებით) და ძველი მოსკოვური „დოგმატური კომუნიზმის“ შერწყმით 70-იან წლებში ყალიბდება „ევროკომუნიზმი“. იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში კომუნისტები გმობენ და ზურგს აქცევენ „პროლეტარულ დიქტატურას“, რითაც მნიშვნელოვან გავლენას მოიპოვებენ საარჩევნო პროცესებსა და სოციალურ კონფლიქტებზე.

ეს ყველაფერი აჩქარებს კომუნისტური მსოფლიო მოძრაობის დანაწევრებასა და დაშლას.

1968 წლის მაისში საფრანგეთში პროტესტი რადიკალურ სახეს იღებს. პარიზში აღმართულია ბარიკადები. არეულობა მოედება ქარხნებსაც, ერთ-ერთ მთავარ გაფიცვაში მონაწილეობს ორი მილიონი ადამიანი.

ფოტო, პარიზი, 1968 წლის 25 მაისი: SZ Photo / Rue des Archives

1968 წლის 21 აგვისტოს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის ჯარები შედიან ჩეხოსლოვაკიაში და ამით ასამარებენ „პრაღის გაზაფხულის“ ფარგლებში დაწყებული პროექტის — „სოციალიზმი ადამიანური სახით “ განხორციელების მცდელობას.

ფოტო: SZ Photo / Libor Hajsky / CTK Photobank

1970-იანი წლები დასავლეთში იქცა „წითელ ათწლეულად“, როდესაც დროდადრო სიტუაცია მძაფრდებოდა. ფოტოზე ჩანს პეკინში „ექსკურსიაზე“ მყოფი ფეხბურთელი პაულ ბრაიტნერი, მაოს სურათთან.

ფოტო: SZ Photo / Sven Simon

დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანასა და ამერიკაშიც 1970 წელს ჩნდება მემარცხენე ტერორიზმი, რომელიც უპირისპირდება პოლიტიკას, ჯარსა და ეკონომიკას. ფოტოზე აღბეჭდილია ალდო მორო, იტალიის ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე, რომელსაც 1978 წელს იტაცებენ და კლავენ.

ფოტო: picture alliance / dpa

იტალიის კომუნისტური პარტიის მეთაური ენრიკო ბერლინგუერი პარტიულ ღონისძიებაზე 1980 წელს. ევროპელი კომუნისტი „ისტორიული კომპრომისის“ მეშვეობით ცდილობს თავისი პარტიის მთავრობაში შეყვანას.

ფოტო: SZ Photo / dpa / picture alliance / ap

l'Humanité

DEMAIN 21 AOUT

CINQ PAYS SOCIALISTES l'URSS, la Pologne, la RDA la Hongrie et la Bulgarie INTERVIENNENT MILITAIREMENT EN TCHÉCOSLOVAQUIE

Le Parti Communiste Français exprime sa surprise et sa réprobation

DÉCLARATION DU PARTI COMMUNISTE FRANÇAIS

Un communiqué de la C.G.T.

TASS : On ne peut accepter qu'un maillon soit arraché au camp socialiste

Le gouvernement tchécoslovaque : nous exigeons le respect de notre souveraineté

Le Parti Communiste Italien : l'intervention est injustifiée

Le Conseil de Sécurité de l'O.N.U. s'est réuni hier soir

Le Comité Central se réunit aujourd'hui à 14 heures

UN CAMION-CITERNE chargé d'ammoniac explose dans la cour

Mikis THEODORAKIS de nouveau arrêté

Sud-Vietnam

ATTAQUES GÉNÉRALES et coordonnées du FNL contre dix-huit villes

ET INSTALLATIONS U.S.

Saigon pilonnée par l'Armée de Libération

A PARIS

საფრანგეთის კომუნისტური პარტია თავის ცენტრალურ გაზეთ l´Humanité-ში 1968 წლის 23 აგვისტოს განცხადებას აქვეყნებს და გამოხატავს „გაკვირვებას და აკრიტიკებს “ ვარშავის პაქტის ქვეყნებს ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის გამო.

ფოტო: SZ Photo / Rue des Archives / Tallandier

ათეიზმი როგორც კრედო - ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ



მსოფლიო ომს თითქმის სრულად გადარჩენილი საუნივერსიტეტო ეკლესიის აფეთქება 1968 წლის 30 მაისს. „სოციალისტური ქალაქმშენებლობა“ გდრ-სა და საბჭოთა კავშირში უნდა ემსახურებოდეს ძველი იდეებისაგან ადამიანების განწმენდას.

ფოტო: picture alliance / epd

რელიგიების წინააღმდეგ ბრძოლა კომუნისტების მიერ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს პროპაგანდითა და რეპრესიული მეთოდებით და თითქმის ყოველთვის მარცხით მთავრდება. უკვე 30-იანი წლების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომპარტიას უწევს აღიარება, რომ ახალმა ათეისტურმა მოძღვრებამ ვერ ჩაანაცვლა ბევრი ადამიანის გულსა და გონებაში ფესვებგამდგარი რელიგიური გრძნობა.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის რეაბილიტაცია 1943 წელს განპირობებულია „დიდი სამამულო ომის“ დროს დიდი გასაჭირითა და მორწმუნე ადამიანების გამძლეობით. 1945 წლის შემდეგ კიდევ უფრო მაღალია რელიგიის გავლენა პოლონეთში, აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევროპის სხვა სახელმწიფოებში.

შეთანხმებები პარტიასა და ეკლესიას შორის, რომელსაც ადგილი აქვს, მაგალითად, პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვის, როგორიცაა ალბანეთი, „რევიზიონიზმისა“ და ღალატის აშკარა გამოვლინებაა. ჩინეთის კულტურული რევოლუციაც აქტიურად და გულმოდგინედ ანადგურებს რელიგიურ ნაწარმოებებსა და საკულტო ნაგებობებს. მაშინ, როდესაც აღმოსავლური ბლოკი 70-იანი წლებიდან ლათინური ამერიკის გამათავისუფლებელი იდეების მატარებელ თეოლოგებს მიიჩნევს პოტენციურ მოკავშირეებად, თავიანთ რეგიონში ცდილობს ეკლესიის ხმის ძალისმიერად ჩახშობას. თუმცა, როგორც პოლონეთისა და გდრ-ის მაგალითები გვიჩვენებს, ეს ძალა თანდათან სუსტდება და ეკლესია მეტ-ნაკლებად ერთვება 1989 წლის გარდატეხის მომზადებაში.

წითელარმიელები 1920-იან წლებში არბევენ მოსკოვის სიმონოვის მონასტერს, გააქვთ ძვირფასი საკულტო ნივთები და შეურაცხყოფენ რელიკვიებს, როგორც მტკიცებას რელიგიური სასწაულებისადმი რწმენის უმწეობისა.

ფოტო: SZ Photo

1923 წლიდან 1931 წლამდე გამოდის ათეისტური ჟურნალი „Безбожник у станка". 1929 წელს ის გამოდის ინიციატივით, უქმე დღედ გამოცხადებული ერთი დიდი საეკლესიო დღესასწაულს ჩაენაცვლოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისადმი მიძღვნილი დღე.

ყდა: commons.wikipedia.org / Bogdan

თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები მოსკოვის ზაგორსკის მონასტრის სამკითხველოში (1955 წ.).კედელზე განთავსებულია სტალინის ფოტო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესიაზე დაწესებულია მკაცრი ზედამხედველობა და საბჭოთა მმართველობა ეკლესიას საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.

ფოტო: SZ Photo / Hannes Betzler

1950 წლის აპრილი: კათოლიკე სასულიერო პირების წინააღმდეგ გამართული პირველი საჩვენებელი სადამსჯელო პროცესი პრაღაში. „ვატიკანის აგენტების" -ეპისკოპოსებისა და მღვდლების გასამართლება. ეკლესიას ჩამოერთმევა ქონების დიდი ნაწილი.

ფოტო: SZ Photo / CTK Photobank / Cestmir Jiru

„წითელი დაცვა" ბუდისტური ტაძრის წინ, პეკინის მახლობლად. ტაძრის შესასვლელის თავზე მათ განათავსეს მაო ძედუნის ფოტო.

ფოტო: picture alliance / AP Photo

პირველი მშვიდობისადმი მიძღვნილი სემინარი აღმოსავლეთ ბერლინის ეკლესიაში (1982 წ.). გდრ-ის არსებობის ბოლო ათწლეულში ზოგიერთი მღვდელი და ეკლესია (მრევლითურთ) კარს უღებს ახალ ოპოზიციურ ინიციატივებს.

ფოტო: კვლევის ფედერალური ფონდი/ Harald Schmitt

ემანსიპაცია და ეროსი - ქალი და სოციალიზმი

ქალი სპორტსმენების მსვლელობა 1936 წლის ივნისში მოსკოვის წითელ მოედანზე. ფოტო წარმოაჩენს ახალი ტიპის იდეალურ ქალს. იგი გამაერთიანებელი სახე- სიმბოლოა სამხედრო დისციპლინისა, ფიზიკური ძალმოსილებისა, მენტალური სიმტკიცისა და ზომიერი ეროტიკულობისა.

ფოტო: picture alliance / RIA Nowosti

ყველგან, სადაც კომუნისტური მოძრაობები ძალაუფლებისა და გავლენისთვის იბრძვიან, ქალთა აქტიური და თანაბარუფლებიანი მონაწილეობა ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. თუმცა კომუნისტები სოციალ-დემოკრატებიდან მომდინარე ამ ემანსიპირებული ქალის სახეს უფრო „მებრძოლის“ შტრიხებს სძენენ. მდედრობითი სქესის იდეალური წარმომადგენელი არის ანდროგინული არსება: მებრძოლი, ამხანაგი, აქტივისტი, დედა და მუზა, რომელიც უარს ამბობს ყველანაირ ბურჟუაზიულ ეტიკეტსა და ქალურ სისუსტეზე.

კომუნისტურ სახელმწიფოებში ქალები მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების შუა რგოლში. ისინი არიან ექიმები, პედაგოგები ან მოსამართლეები, თუმცა იშვიათად იკავებენ მაღალ თანამდებობებს. სამაგიეროდ, ქალების წვლილი წარმოებაში, მძიმე ფიზიკური შრომის საწარმოს ჩათვლით, სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ტიპური მახასიათებელია.

დიასახლისობა დასაცინი ხდება: არც ერთი ოჯახი ქალის შემოსავლის გარეშე! ოჯახის რჩენასთან დაკავშირებული სირთულეები განსაკუთრებით ქალებს აწვებათ ტვირთად, რასაც ნამდვილად ვერ ფარავს და ალამაზებს წითელი მიხაკებით გაფორმებული ქალთა დღეები და მსგავსი მათი სამადლობელ-სადიდებელი რიტუალები.

თუმცა კომუნისტურ ძალაუფლებრივ იერარქიებში კაცები დომინირებენ, ხოლო „ცის ნახევარი“, რომლის შესახებაც მაო ასე ხატოვნად საუბრობდა, ქალებისთვის მიუწვდომელია.

„კაპიტალიზმის შემდეგ პროლეტარიატი პროსტიტუციასაც გაანადგურებს!“ 1923 წლის საბჭოთა პლაკატი მოუწოდებს (აშკარად მამრობითი სქესის) პროლეტარს ამოიყვანოს ქალი ბურჟუაზიული ჭაობიდან და აქციოს პატივსაცემ, ღირსეულ მუშად.

პლაკატი: picture alliance / Delius / Leemage

გერმანიის კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტული მანქანა 1928 წლის 20 მაისის არჩევნების წინ მიზანმიმართულად მოუწოდებს „მუშათა კლასის წარმომადგენელთა მეუღლეებს“ (ქალებს). ქალთა გათავისუფლების ინიციატივა ძველი სოციალისტური ტრადიციის თანახმად პროლეტარიატის გათავისუფლებასთან შედარებით მეორეხარისხოვანია.

ფოტო: picture alliance / akg-images

გდრ-ის გაერთიანებული პროფკავშირების პლაკატი 1949 წელს მოუწოდებს დასაქმებულ ქალებს, გეგმის შესრულებით უზრუნველყონ „თავიანთი შვილების მომავალიც“. დედობრივი მოვალეობების ხაზგასმა პროდუქტიული მუშაობის პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია.

პლაკატი: BArch, Plak 100-029-024 / H. Zippel, Plakat-Kunst

ორი ახალგაზრდა ჩინელი ქალი პოზირებს პროპაგანდისტული ფოტოსთვის, რომელმაც უნდა განამტკიცოს მაოს გამონათქვამი: „ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეუძლია მამაკაცს, შეუძლია ქალსაც“.

ფოტო, 1966/68: picture alliance / akg-images / Zhou Thong

პოლონეთის ქალაქ ლოძის სამხრეთით ნეფე-პატარძალი ჯვრისწერისათვის ტრადიციულად ეკლესიისკენ მიემართება. ქორწინებისა და ოჯახისთვის კომუნისტებმა ვერანაირი ალტერნატიული რიტუალი ვერ შესთავაზეს საზოგადოებას.

ფოტო, 1972: SZ Photo / Witold Kulinski / Forum

საბჭოთა პარტიისა და სახელმწიფოს მეთაური ლეონიდ ბრეჟნევი გერმანიის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობაზე, (1981 წლის 3 მარტი) აღმოსავლეთის ქვეყნების ბლოკის ხელმძღვანელ წრეებში ქალებს, როგორც წესი, მხოლოდ „სამკაულის“ ფუნქცია აქვთ.

ფოტო: picture alliance / akg-images

სოციალისტური ყოველდღიურობა - შრომა, დასვენება, სამომხმარებლო კულტურა

მოდების ჩვენება ღია ცის ქვეშ პოლონეთის ქალაქ პიოტრკოვ ტრიბუნალსკიში (1978 წლის ზამთარი) . პოლონეთი დოებით ითავსებს აღმოსავლეთ ბლოკში შემავალი ქვეყნების მოდის კანონმდებლის ფუნქციას. ამის გამო პოლონეთში კლიენტების მოსაზიდად პაექრობაში უპირისპირდებიან ერთმანეთს სახელმწიფო ატელიეები და სამკერვალოები.

ფოტო: SZ Photo / Forum / Maciej Osiecki

სახელმწიფო სოციალიზმი უფრო მეტადაა ორიენტირებული მასობრივ წარმოებაზე, ვიდრე „სამოქალაქო საზოგადოებები“. გაზეთები აჭრელებულია ცნობებით „სოციალისტური აღმშენებლობის“ ან „მოსავლის აღების ფრონტზე“ მოპოვებული წარმატებების შესახებ.

გეგმის შესრულება რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი კრიტერიუმით წარმატებული კარიერისა და ძალაუფლების მოპოვების წინაპირობაა. რენტაბელობასა და მოგებაზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, ასეთი მიდგომა „არაეკონომიური“ ქცევის წახალისებას იწვევს. რაციონალიზაციისა და დაზოგვის ნაცვლად გეგმიური ეკონომიკა ხასიათდება არაეფექტიანობითა და ფლანგვით.

დასავლეთის ცხოვრების სტილისა და სამომხმარებლო კულტურის გამანდგურებელი გავლენისაგან კომუნისტური რეჟიმები თავს ვეღარ იცავს. მასობრივი პროდუქტების მხოლოდ ფასი და რაოდენობა უკვე აღარ არის საკმარისი. სოციალისტ მომხმარებელსაც უჩნდება საქონლის მრავალფეროვნების მოთხოვნილება.

ნელ-ნელა ყალიბდება ყოფა საკუთარი ხელოვნური რიტუალებითა და რუტინით. ის განპირობებულია სოციალური უსაფრთხოების დაცვის პირობით, დეფიციტით გამოწვეული გამომგონებლობითა და კერძო გაცვლითი ურთიერთობებით. „დასავლეთის დეკადენტურობის“ წინააღმდეგ მიმართული ვერანაირი პროპგანდა ვერ ახერხებს „რეალური სოციალიზმის“ ამ აქილევსის ქუსლის გადაფარვას.

„მეტი, უკეთესი, უფრო იაფი,“ - ასეთია სახელმწიფო პროდუქციის პროპაგანდისტური ლოზუნგები. გდრ-ის 1955 წლის პლაკატზე გამოსახულია საფეიქრო საწარმოს სამი „საუკეთესო მუშა “, როგორც პატრიოტიზმის მისაბაძი მაგალითი.

პლაკატი: BArch B 285 Plak-022-006 / N. N. / Greif Graphischer Großbetrieb

1970-იანი წლებიდან აღმოსავლეთი ბლოკი დასავლეთისათვის ერთგვარი „საწარმოო დაზგაა“. მოწინავე საწარმოები თანდათანობით იწყებენ საექსპორტო პროდუქციის დამზადებას ფოტოზე წარმოდგენილი პოლონური საფეიქრო ფაბრიკის მსგავსად(ქ. ტორუნი. 1977 წ.).

ფოტო: SZ Photo / Aleksander Jalosinski / Forum

გდრ-ის დისტანციურ სავაჭრო ობიექტ „Genex“-ის მეშვეობით დასავლეთ გერმანიის მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ საქონელი აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები ნათესავებისა და ნაცნობებისთვის. საქონელი ძირითადად გდრ-ის ნაწარმია, თუმცა წუნდებულია.

1988 წლის კატალოგი: picture alliance / dpa-ZB

ამერიკაში ხრუშჩოვის ვიზიტის შემდეგ კრემლი 1959 წლის ზაფხულს თანახმაა მოსკოვში გაიმართოს გამოფენა „American National Exhibition“ (ამერიკული ეროვნული გამოფენა). გამოფენაზე მოსული სამი მილიონი რუსი გაოცებული ათვალიერებს ამერიკულ საქონელს. ლოზუნგი - „დავეწიოთ და გავუსწროთ დასავლეთს“ ბუმერანგივით უბრუნდება.

ფოტო: picture alliance / Everett Collection

საბჭოთა კავშირში (ხშირად ერთი ციცქნა) სამზარეულო სოციალური ცხოვრების ეპიცენტრია, სადაც ფეთქავს არაკონფორმისტული ცხოვრება.

ფოტო გადაღებულია მოსკოვში, ერთ-ერთი ხელოვანის სამზარეულოში, 1984წ.

Vladimir Raitman: picture alliance / dpa

დაშტამპული აზროვნება - „მეცნიერული სოციალიზმი“

იქმნება სპეციალური სასწავლო კურსები, რომლებშიც მონაწილეობა არა მხოლოდ ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრებისთვისაა სავალდებულო. ფოტოზე წარმოდგენილია სასწავლო პროცესი კარლ-მარქს-შტატის ერთ-ერთ დიდ ქარხანაში (1975 წ.).

ფოტო: picture alliance / Klaus Rose

ის „წამყვანი როლი“, რომელიც გაითავისეს და მიისაკუთრეს კომუნისტურმა პარტიებმა, ლეგიტიმურობას იძენს მოსაზრებიდან, რომ მათ მეცნიერულად გაიაზრეს და გააანალიზეს ისტორიული და საზოგადოებრივი განვითარების „კანონები“.

სწავლება და განათლება რეპრესიებსა და ძლიერ ცენზურასთან ერთად წინსვლის სურვილითა და კონფორმიზმით გამსჭვალული ახალგაზრდა თაობის გამოზრდის საშუალებაა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვთავაზობს ბევრ ხმელ პურსა და უღიმღამო თეორიას. თუმცა, დაინტერესებულნი გაეცნობიან ასევე ისტორიის ვრცელ, თავისებურ გადმოცემასა და სამყაროს არსის ახსნას.

საბჭოური სტილის „რეალურად არსებული სოციალიზმი“ აყალიბებს საკუთარ, ცხოვრებისეულ კონსერვატიზმს, რომელიც შერწყმულია სურათების ენის პომპეზურ კლასიციზმთან. ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვისთვისაც მიუღწეველია დასავლური კულტურის პროდუქტები.

საბოლოოდ, აზროვნების შეზღუდვა კომუნისტურ სამყაროს რიყავს და მიჯნავს XX ს-ის მსოფლიო პროცესებიდან და ის აზროვნების ერთგვარ „პროვინციად“ იქცევა. ამის გამოცაა, რომ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გვერდი აუარა კომუნისტურ სამყაროს. მართალია, მონაცემთა ციფრული დამუშავება ფეხს იკიდებს სახელმწიფო და ეკონომიკურ ბიუროკრატიაში, ასევე სამხედრო სისტემაში, მაგრამ პერსონალური კომპიუტერი ჩვეულებრივი მოქალაქისათვის მიუწვდომელი რჩება.

„როგორც მზის სიკაშკაშეა მარადიული, ისევე მარადიულია მეცნიერების გენია - ოქტომბრის ნათელი !“ დაუთარიღებელ საბჭოურ პლაკატზე (1967 წ. ?) რევოლუციური მითი ჯადოსნურად გარდაქმნის მეცნიერებასაც.

პლაკატი: შვეიცარიის სოციალური არქივი.

ლენინის მთებზე, მოსკოვის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით, მდებარეობს ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი. .

ფოტო: 1967 წ. : SZ Photo / Timeline Images / Juergen

80-იან წლებში გდრ-ში გარკვეული ჯგუფები ცდილობენ ბიბლიოთეკებისა და უცენზურო პროკლამაციების მეშვეობით საპირისპირო ინტერესების მქონე აუდიტორიის მოზიდვას. ფოტოზე გამოსახულია „გარემოს ბიბლიოთეკა“ აღმოსავლეთ ბერლინში.

ფოტო: რობერტ ჰავემანის საზოგადოება/ Siegbert Schefke

კომუნისტური მოძრაობის „კლასიკოსთა“ სერიებად გამოცემული თაბაშირის ბიუსტები 1990 წელს თავს იყრის აღმოსავლეთ ბერლინში, ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ოფისის საწყობში.

ფოტო: SZ Photo / Hans-Peter Stiebing



1979 წელს როვოლტის გამომცემლობა თავისი კომიკური ციკლით ეხმიანება 1970-იანი წლების სულისკვეთებას დამწყებებისთვის განკუთვნილი შემდეგი გამოცემებით: „მარქსი“, „ლენინი“, „ტროცკი“ და „მაო“. თუმცა ბაზარზე მოთხოვნა ამგვარ გამოცემებზე იკლებს.

ფოტო: კვლევის ფედერალური ფონდის ბიბლიოთეკა.

„პროლეტარიატის დიქტატურის თეორიის“ სასწავლოს კურსი შიძიაჯუანი ერთ-ერთ საღამოს სკოლაში პეკინიდან , 300 კმ-ის მოშორებით. ცენტრში კვლავ მაოს „წითელი წიგნია“.

ფოტო (1975 წ.): picture alliance / akg-images

სოციალისტური ქალაქი სამოქალაქო ურბანიზმის ნაცვლად

მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის მიზნით 1970-იანი წლებიდან აღმოსავლეთ ქვეყნების მთელ ბლოკში დაიწყო ბეტონის საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა. თუმცა მათი აშენება ხშირად წლების განმავლობაში ჭიანურდება.

ფოტო (ვარშავა, 1978წ.) : SZ Photo / Maciej Osiecki / Forum

თავდაპირველად, სოციალიზმი „ქალაქური“ მოძრაობაა. სანკტ- პეტერბურგიდან ბერლინის გავლით პარიზამდე, ასევე შანხაიდან საიგონამდე, ე.წ. დიდი ქალაქების ჯუნგლებში, იქმნება პირველ კომუნისტურ პარტიათა კავშირები. იმავდროულად, ისინი ამ ქალაქებს მორალური თვალსაზრისით კორუმპირებულებად მიიჩნევენ.

იდეალური სოციალისტური ინდუსტრიის, ქმედითი, ეკოლოგიურად სუფთა ქალაქის იდეა და გეგმები სოციალ-დემოკრატებსაც ისევე აღელვებთ, როგორც თანამედროვე ქალაქდამგეგმავებს. თუმცა, საბოლოოდ, კომუნისტურ ურბანულ განვითარებაში მძლავრობს ძალისა და ავტორიტეტის დემონსტრირების სურვილი და მოთხოვნა. ამრიგად, პომპეზური ნეოკლასიციზმი ჩაანაცვლებს „საქმიან მოდერნს“. სტალინური მეტროპოლიების ცენტრები ხასიათდება მონუმენტური სტილით, სასახლეების მსგავსი საცხოვრებელი ბლოკებითა და მეტროსადგურებით, პარკებით, გიგანტური ძეგლებითა და ცარიელი თავშეყრის ადგილებით. თუმცა ბევრი რამ დაუსრულებელი რჩება. ძველი ნაგებობები ინგრევა ან ხდება მათი დემონტაჟი. ამასობაში გარეუბნებში, მათი სტანდარტიზებული მრავალბინიანი საცხოვრებლებითა და მონოტონური პანელური ნაგებობებით, ხშირად ნახევრადსოფლური ყოფა-ცხოვრებაა.

ფართო აგარაკებსა და საბაღე ნაკვეთებთან თანაფარდობით მჭიდრო დასახლებებში ცხოვრება ხელს უწყობს სუბკულტურის, ბარტერული პრაქტიკის განვითარებასა და ელემენტარული საარსებო პირობების შექმნას. ეს ყველაფერი სოციალისტურ ქალაქებს ანიჭებს მათთვის დამახასიათებელ ანტიურბანულ სახეს.

ბაბილონის ფანტაზიები: ბორის იოფანის „საბჭოეთის სასახლის“ პრიზიორი პროექტი (1934 წ.). 70 მ სიმაღლის ლენინის ძეგლი აგვირგვინებს 415 მეტრიან კოშკს. 1957 წელს მისი სამშენებლო სამუშაოები საბოლოოდ ჩერდება.

ნახაზი: picture alliance / akg-images

იდეალური „სოციალისტური ქალაქის“ შტრიხები (დაახლ. 1930 წ.), აქ ყველაფერია: საცხოვრებლისა და სამსახურის სიახლოვე, სივრცე დასვენებისა და სპორტისთვის.

ფოტო: SZ Photo / Rue des Archives / CCI

1955 წელს ვარშავაში სრულდება ევროპაში სიდიდით მეორე ნაგებობა „იოსებ სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლე“. მას სამი წლის განმავლობაში აშენებდნენ. საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთისთვის საჩუქრად გადაცემული ეს ნაგებობა ზოგიერთი მოქალაქის მიერ აღიქმება ოკუპაციის სიმბოლოდ.

ფოტო: SZ Photo / Zbyszko Siemaszko / Forum

მეთევზეების კუნძული აღმოსავლეთ-ბერლინის ცენტრში (1969 წლის მაისი). სულ მალე ბოლო ძველი შენობებიც ადგილს დაუთმობს ახალ საცხოვრებელ „კოშკებს“.

ფოტო: picture alliance / dpa-ZB

ქალაქ შვედტის კარიბჭესთან ჩნდება საბაღე კომპლექსი - „დაჩები“. რუსულიდან ნასესხები ეს სიტყვა ნიშნავს დასასვენებელ სახლს ბაღით ან მიწის ნაკვეთს, სადაც ხეხილისა და ბაღჩეულობის მოყვანა შეიძლებოდა.

ფოტო: picture alliance / dpa-Zb

ჩონგ-კინგი ჩინეთში - ქალაქი 30 მილიონზე მეტი მაცხოვრებლით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა გეგმავს 21-ე საუკუნის შუა წლებამდე მოსახლეობის უმრავლესობის განსახლებას მეგაპოლისებში.

Foto, 2012: SZ Photo / Olaf Schülke

კომუნისტური ინტერნაციონალიზმი სამოქალაქო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ

საზღვარი ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის (1968 წ.). კომუნისტური რეჟიმები ევროპაში თითქმის 7.000 კილომეტრის სიგრძის „რკინის ფარდის“ მიღმა, რომელიც ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდეა გადაჭიმული.

ფოტო: picture alliance / CTK

ყველა ქვეყნის კომუნისტი ადიდებს ემპათიურ ინტერნაციონალიზმს. მისი ანტიპოდი ნაკლებადაა ნაციონალიზმი, რომელიც პოლიტიკური ან კულტურული მემკვიდრეობითაა მიღებული. ესაა უფრო მეტად ბურჟუაზიული, მსოფლიო ვაჭრობასა და გლობალურ კულტურულ ურთიერთგაცვლაზე დაფუძნებული კოსმოპოლიტიზმი. კომუნისტური „ანტი-კოსმოპოლიტიზმი“ არაპირდაპირი გზით დაკავშირებულია მილიტარისტულ „ანტი-სიონიზმთან“, რომელიც სახიფათოდ ჰგავს „მსოფლიოს ებრაელობის“ მიმართ ძველ სიძულვილს.

კომუნისტური რეჟიმების საერთაშორისო სლოგანების საპირისპიროდ, ისინი აწარმოებენ იზოლირების პოლიტიკას დასავლეთისა და საკუთარი ბანაკის მიმართაც. უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს უმკაცრესად ამოწმებენ. მათ უთვალთვალებენ. „მეგობრული შეხვედრებისთვისაც“ კი სახასიათოა ხისტი რიტუალობა. გამონაკლისია ახალგაზრდული ფესტივალები, სადაც მცირედი, მაგრამ მაინც თავისუფლებაა.

„სოციალისტური სამშობლოს“ მეშჩანური კულტის ფუნქციაა, ყურადღება მოუდუნოს ხალხს იმ დროს, როცა „კაპიტალისტურ უცხოეთში“ გამგზავრება შეუძლებელია გდრ-ის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მოქალაქეებისთვის.

მსოფლიო კომუნიზმის ყველაზე ცნობილი ბელადები „საერთაშორისო პროლეტარიატის“ გზამკვლევებად კი არა, „დიდ პატრიოტებად“, ახალი სახელმწიფოების დამფუძნებლებად, „ერის მამებად“ ითვლებიან და მავზოლეუმებში განისვენებენ.

1951 წლის აგვისტო, აღმოსავლეთი ბერლინი, მსოფლიო ახალგაზრდობის მესამე ფესტივალი. დასაწყისში, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, სპეციალურად შერჩეულ მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ მცირე თავისუფლებით გაჯერებული „ხალხთა მეგობრობის“ გამომხატველი პანტომიმური წარმოდგენები ცეკვების, მსვლელობებისა და მუსიკის თანხლებით.

ბარათი: ქალაქის ისტორიის მუზეუმი, ლაიფციგი

Was ist Kosmopolitismus?

1949 წლის 13 აპრილს ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო კოსმოპოლიტიზმს აცხადებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მტრად. ერთი წლით ადრე გაზეთმა პატივი მიაგო საბჭოთა მწერალ ილია ერენბურგს როგორც „კოსმოპოლიტსა და ინტერნაციონალისტს“..

ფაქსიმილე: Neues Deutschland

ერთიანი სოციალისტური პარტიის უმაღლესი ფუნქციონერები 1971 წლის ივნისში ტაშით ხვდებიან საბჭოთა მეზღვაურებს გერმანული და საბჭოთა ახალგაზრდობის ფესტივალზე ლენინგრადში.

ფოტო: picture alliance / ZB

1956 წელი, მოსკოვი, ორი სამყაროს შეხვედრა: დასავლეთ-გერმანელი ტურისტები რუს ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც ნივთების გაცლით არიან დაკავებულნი. ადგილობრივების მიერ დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან კონტაქტის დამყარება არ არის სასურველი.

ფოტო: SZ Photo

1956 წელი, მოსკოვი, ორი სამყაროს შეხვედრა: დასავლეთ-გერმანელი ტურისტები რუს ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც ნივთების გაცლით არიან დაკავებულნი. ადგილობრივების მიერ დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან კონტაქტის დამყარება არ არის სასურველი.

ფოტო: SZ Photo

ოფიციალური ვერსიით, საერთაშორისო სოლიდარობის ლოზუნგით, სინამდვილეში კი სამუშაო ძალის ნაკლებობის, გამო 70-იან წლებში აღმოსავლეთ ბლოკის სახელმწიფოებს ჩამოჰყავთ და ასაქმებენ ვიეტნამელ მუშებს. მათ მოსახლეობა შეიფარებს.

ფოტოზე წარმოდგენილია ვიეტნამელი მუშა აღმოსავლეთ-ბერლინში ჩასვლისას (1973 წ.): picture alliance / dpa

„ძალა შეიარაღებაშია“ - კომუნისტური მილიტარიზმი



1987 წლის 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის 70 წლის თავისადმი მიძღვნილი პარადი წითელ მოედანზე, მოსკოვში.

ფოტო: picture alliance / dpa

ყველაზე დიდი საორგანიზაციო და ტექნოლოგიურ მიღწევები კომუნისტურ მოძრაობებსა და რეჟიმებს სამხედრო სფეროში აქვთ. მათ მიერ დაფუძნებული ყველა „სახალხო რესპუბლიკა“ სამოქალაქო, სახელმწიფოთაშორისი ან ანტისაოკუპაციო ომების შედეგია.

კომუნისტების სიცოცხლის ელექსირია მტრის გარემოცვაში ყოფნის მუდმივი განცდა. ასეთი უსასრულო დაძაბულობა გადაიზრდება სისტემის შიგნით - „შინაურებში“ მტრების ძიებასა და ყოველდღიური ცხოვრების მილიტარიზაციაში. რევოლუციების აღსანიშნავი დღეები სამხედრო ელფერითაა დამძიმებული. პარტიის „დემოკრატიული ცენტრალიზმი“ თავისი არსით ბრძანებათა იერარქიაა. ამ პრინციპს ექვემდებარება ყველაფერი, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა თუ კულტურა.

იმავდროულად, საბჭოთა კავშირმა შეითხზა „მსოფლიო მშვიდობისმყოფლის“ იმიჯი, რომელიც თავისი გიგანტური შეიარაღებით „აშშ-ის იმპერიალიზმს“ მსოფლიო მასშტაბით უწესებს საზღვრებს. სინამდვილეში კი შეჯიბრი შეიარაღების მასშტაბებსა და სახელმწიფოთა სისტემებს შორის ყველა კონტინენტზე აღვივებს სახელმწიფოთაშორისსა და სამოქალაქო ომებს.

როდესაც 1980-იან წლებში მსოფლიოში პოლიტიკური დაძაბულობა მცირდება, საგარეო მტრის არარსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს აღმოსავლეთ ბანაკის დაშლას. მშვიდობა და არა ომი ასუსტებს საბჭოთა კავშირს როგორც სუპერსახელმწიფოს.

როცა 1950 წელს ნათესების ნახევარზე მეტს გაანადგურებს კარტოფილის ჭია, ერთიანი სოციალისტური პარტიის პროპაგანდისტული მანქანა აცხადებს, რომ ჭია ჩამოყარეს და გაავრცელეს აშშ-ს თვითმფრინავებიდან.

პლაკატი: picture alliance / akg-images

ახალგაზრდული ნაციონალური ფესტივალი აღმოსავლეთ ბერლინში (1979 წ.). მისი ლოზუნგია: „ჩვენ ვიცავთ სოციალისტურ სამშობლოს!“ ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ეჩვევიან მილიტარისტული ხასიათის აღზრდას.

ფოტო: კვლევის ფედერალური ფონდი/ Harald Schmitt

სახალხო გამათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცები სწავლობენ „წითელი წიგნით“- მაოს ციტატების კრებულით (1966 წ.), სადაც მისი ასეთი,გამონათქვამია : „პარტია განაგებს იარაღით“.

ფოტო: SZ Photo / Rue des Archives / PVDE

სამშვიდობო//მშვიდობის პროპაგანდა სპორტის მეშვიდე ფესტივალისა და ახალგაზრდობის მეცხრე სპარტაკიადაზე, რომლებიც გაიმართა გდრ-ის ქ. ლაიფციგში 1983 წლის ივლისში.

ფოტო: picture alliance / ZB

ანგოლელი ჯარისკაცი მიწა-ჰაერის ტიპის საბჭოთა რაკეტასთან კუიტო კუანავალეში (1988 წლის თებერვალი). დეკოლონიზაციასთან ერთად ანგოლაში 1975 წელს იწყება სამოქალაქო ომი, რომელიც მცირე ინტერვალებით 2002 წლამდე გრძელდება.

ფოტო: picture alliance / dpa

1988 წელს , ავღანეთში შესვლიდან ცხრა წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირი იწყებს ამ ქვეყნიდან ჯარების გამოყვანას. პირველი პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია, რომელიც განახორციელა მოსკოვმა 1945 წლის შემდეგ საკუთარი გავლენის სფეროს მიღმა, მისთვის ნამდვილი კატასტროფა აღმოჩნდა.

ფოტო: picture alliance / CPA Media Co. Ltd

რეფორმა და რევოლუცია - კომუნიზმის დამარცხება ევროპაში

1989 წლის 9 ოქტომბერს ლაიფციგში ეწყობა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობს 70.000-ზე მეტი ადამიანი. ეს მშვიდობიანი დემონსტრაცია როგორც მშვიდობიანი რევოლუციის სიმბოლო „ორშაბათის დემონსტრაციის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

ფოტო: SZ Photo / ap / dpa / picture alliance

Гласность и перестройка („გლასნოსტი და პერესტროიკა“) - ამ ლოზუნგებით მიხეილ გორბაჩოვს 1986 წლიდან სურს მოძველებული საბჭოთა კავშირის მოდერნიზაცია, ურთიერთობების გაუმჯობესება დასავლეთთან. სწორედ ამიტომ ის აღმოსავლეთ ბლოკის სახელმწიფოებს 1989 წლის ზაფხულიდან თვითგამორკვევისათვის მეტ უფლებებს ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში 4 ივნისის ნახევრად თავისუფალ არჩევნებში ოპოზიცია გამარჯვებას ზეიმობს, საბჭოური წყობილება აღმოსავლეთ ბლოკში მაინც მყარადაა ფესვგადგმული. უფრო დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება კომუნისტური ჩინეთი, რომელიც 4 ივნისის ღამეს ძალის გამოყენებით ჩაახშობს კვირათა განმავლობაში მიმდინარე მასობრივ პროტესტს, როგორც კი დემონსტრანტები დააპირებენ რეგიონებში გასვლას.

სწრაფი ცვლილებების მოლოდინში იმედგაცრუებული გდრ-ის ათიათასობით მოქალაქე ზაფხულის არდადეგებზე ცდილობს უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გავლით დასავლეთში გაღწევას და, მიუხედავად ჩინეთის მაგალითისა, სულ უფრო მეტი მოქალაქე გამოდის ქუჩებსა და მოედნებზე რეფორმების მოთხოვნით. ასე იწყება მშვიდობიანი რევოლუცია, რომელიც 9 ნოემბერს ბერლინის კედლის დანგრევით სრულდება. უმთავრესად მშვიდობიანი პროცესების შედეგად კომუნისტური რეჟიმები დომინოს ქვების მსგავსად ერთმანეთის მიყოლებით ეცემა.

მაშინ, როდესაც დემოკრატიული რევოლუცია აღწევს მოსკოვში - კომუნისტური სამყაროს ისტორიულ ცენტრში, მისი ტანკებით შეჩერება უკვე შეუძლებელია. 1991 წლის აგვისტოში კრემლის თავზე აღიმართება რუსეთის დროშა.

აღმოსავლეთ ბლოკის პირველ, ნახევრად თავისუფალ არჩევნებში 1989 წლის ივნისში იმარჯვებს დამოუკიდებელი პროფკავშირები - სოლიდარობა. მათმა პლაკატმა არჩევნებზე ყურადღება მიიქცია: ამერიკელი მსახიობი გარი კუპერი „High Noon“-ში ვესტერნის გმირის როლში (1952 წ.).

პლაკატი: picture alliance / prisma

ატომის შესწავლის დარგში საბჭოთა ფიზიკოსი და დისიდენტი ანდრეი სახაროვი 1989 წლის 28 მაისს სიტყვით გამოდის ეროვნული დეპუტატების ყრილობაზე, ე.წ. საბჭოთა პარლამენტის წინაშე. ფოტოზე ბუნდოვნად მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური მიხეილ გორბაჩოვი.

ფოტო: picture alliance / RIA Nowosti

1989 წლის 3 და 4 ივნისს ჩინეთის ჯარი ძალის გამოყენებით ახშობს აპრილში დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებს. 1989 წლის 5 ივნისს ტანკების კოლონის პირისპირ მდგომი მამაკაცის ფოტო გადაიქცევა სამოქალაქო წინააღმდეგობის სიმბოლოდ.

ფოტო: picture alliance / AP Photo

1989 წლის 23 აგვისტოს , ჰიტლერ-სტალინის პაქტის დადების 50-ე წლის თავზე, ასიათასობით ადამიანისგან შემდგარი ჯაჭვი ბალტიისპირეთის სამივე საბჭოთა რესპუბლიკის ხალხების მონაწილეობით ითხოვს თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობას.

ფოტო: picture alliance / dpa

1991 წლის 23 აგვისტოს ახალგაზრდა მოსკოველები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის მოპირდაპირედ მდგარი შენობის სახურავზე აღმართავენ ძველი რუსეთის სამფეროვან დროშას. მარცხდება პარტიის მაღალი ეშელონებისა და სამხედროების მიერ ორგანიზებული 19 აგვისტოს პუტჩი.

ფოტო: Bundesstiftung Aufarbeitung / Harald Schmitt

ჯარისკაცები და შეიარაღებული მოქალაქეები 1989 წლის 28 დეკემბერს ბუქარესტში იბრძვიან კომუნისტური უშიშროების სამსახურის „სნაიპერების“ წინააღმდეგ. სამი დღით ადრე სიკვდილით დასაჯეს რუმინელი დიქტატორი ნიკოლაუ ჩაუშესკუ და მისი მეუღლე.

ფოტო: picture alliance / dpa

რევოლუცია და რესტავრაცია - კომუნიზმიდან პოსტ-კომუნიზმისკენ

მაშინ, როდესაც იუგოსლავიის დაშლას მოყვება საზარელი ომებისა და „ეთნიკური წმენდის“ სერიები, საბჭოთა კავშირის დაშლა, თავდაპირველად, შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობს. ბევრ საბჭოთა მოქალაქეს სახელმწიფოსა და ეკონომიკის ნგრევა, მიუხედავად ახალი თავისუფლებებისა და შესაძლებლობებისა, პირად კატასტროფად მიაჩნია. პრივატიზაცია, უმეტეს წილად, მაფიოზური მიტაცების სახით მიმდინარეობს. ყალიბდება ახალი ოლიგარქიული ძალაუფლება და ქონებრივი წესრიგი, რომლის ხერხემალს ხშირად უშიშროების სამსახურების ოფიცრები ქმნიან.

თუმცა, მოგვიანებით აქაც იჩენს თავს ომები და არეულობა, მაგალითად, ჩეჩნეთში, მთიან ყარაბახში, აფხაზეთსა და აღმოსავლეთ უკრაინაში. ამას კი ეწირება ათიათასობით სიცოცხლე, ასიათასობით ადამიანი კი უსახლკაროდ, სამშობლოს მიღმა რჩება. ამ პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა კრემლის განახლებული ჰეგემონიური მოთხოვნები და ამბიციები პუტინის ერაში.

1990-იანი წლების აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ტრანსფორმაციაც უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე იმედოვნებდნენ. ახალი გმირები თავს ვერ იმკვიდრებენ. შესაბამისად, ადგილი აქვს სახეცვლილი ექსკომუნისტების შემობრუნებას, სანამ მოგვიანებით არ მოხდება მათი ჩანაცვლება ახალი, ხშირად ნაციონალურ-ავტორიტარული პარტიებისა და ხელმძღვანელი პირების მიერ.

დღესდღეობით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი, თითქოსდა შეურყეველი კომუნისტური დიქტატურის პირობებში მიიწევს ახალი ნაპირებისკენ, რომლებიც ჯერ ყველასთვის შეუცნობია.

შანხაის კაშკაშა ცათამბჯენი: ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ 1990-იანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკა სრულად შეუსაბამა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს. სოციალიზმი თავისი ერთიანი სულისკვეთებითა და მასშტაბით უტოლდება სახელმწიფოს, რომლის მართვაც მხოლოდ დიქტატურას ძალუძს.
ფოტო, 2015: SZ Photo / Kevin Lee

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოს მოქალაქეები 1992 წლის 6 აპრილს დახმარებას ითხოვენ სერბი „სნაიპერის“ ქმედებათა გამო. სწორედ ამ დღეებში იწყება ბოსნიის ომი, რომელსაც 1995 წლამდე 100.000 ადამიანის შეეწირა.

ფოტო: picture alliance / dpa

გროზნო, 1995 წლის 25 თებერვალი. პრეზიდენტის დანგრეული სასახლის წინ დგას რუსი ჯარისკაცი. დეკემბერში რუსეთმა ჯარი შეიყვანა ჩეჩნეთში, სადაც ჯერ კიდევ 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ფოტო: picture alliance / dpa

მოხუცი და უსახლკარო რუსი ქალი 1994 წლის 25 იანვარს ითხოვს მოწყალებას სიგარეტის სარეკლამო დაფასთან წარწერით: „ დააგემოვნე ვესტი, ანუ დასავლეთი“.

ფოტო: picture alliance / dpa

ლიუბენის ოლქში, რუსული ჯარების ყოფილ დასახლებაში, დაბინავებულია თავშესაფრის 280 მაძიებელი. ბულგარელი ბავშვები 1994 წლის იანვარში თამაშობენ მიტოვებულ სამხედრო ნარჩენებში.

ფოტო: picture alliance / ZB

2012 წლის ოქტომბერი, მოსკოვი: „ახალი რუსები“ აჩვენებენ თავიანთ სიმდიდრეს. მოსკოვში უფრო მეტი მილიარდერი ცხოვრობს, ვიდრე ნიუ- იორკში.

ფოტო: picture alliance / dpa

აღლუმი მოსკოვში, 2005 წლის 9 მაისი: სტალინის საბჭოთა კავშირის გამარჯვება სამოცი წლის წინ „დიდ სამამულო ომში“ იქცა მითად, რომელმაც დასაბამი მისცა პუტინის რუსეთს.

ფოტო: picture alliance / AP

აშხაბადი, თურქმენეთი, 2001 წელი. დამოუკიდებლობის გამოცხადების 10 წლის თავზე ქვეყნის დიქტატორი და კომუნისტური პარტიის ყოფილი მეთაური საფარმურად ნიაზოვი († 2006 წ.) საკუთარ თავს ძღვნად მიართმევს თავისივე ოქროს ქანდაკებას, როგორც „თურქმენ-ბაში“, ანუ როგორც ყველა თურქმენის მამა.

ფოტო: picture alliance / Arco Images GmbH

ეპოქის ხელახალი გააზრება - კომუნიზმი მე-20 საუკუნეში

კლასიციზმიდან პოსტმოდერნიზმამდე: სოციალისტური ხელოვნების მუზეუმი, სოფია, ბულგარეთი(2011წ.). მსგავსი პარკებითა და მათში წამომართული მსოფლიო სოციალისტური ბანაკის“ შემოქმედთა თუ მთავარ გმირთა აწ უკვე (1989 წლიდან) დემონტირებული ძეგლებით გადავსებულია მთელი აღმოსავლეთი ევროპა.

ფოტო: picture alliance / ap Photo

ოქტომბრის რევოლუციის 100 წლის თავზე საჭიროა კომუნიზმის ისტორიის ახლებური გააზრება. ის მჭიდროდაა დაკავშირებული კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის კრიზისებსა და ორ მსოფლიო ომთან. მასში თავს იყრის და ერთმანეთში ირევა წინააღმდეგობის, პროტესტის განცდა დასავლეთის ბატონობისა და კულტურის წინააღმდეგ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ემანსიპაციისა და თავისუფლების იმედები, რომლებიც მეტწილად იმედადვე დარჩა.

ამასთან, ყურადღების ცენტრში დგას ორი დამსხვრეული ძველი ტიტანის - რუსეთისა და ჩინეთის ბედი. მათ კვლავ შეკრიბეს კომუნისტები, რომლებიც დღეს სხვა იდეოლოგიური ნაზავითა და ახალი ეკონომიკური საფუძვლებით გამოდიან ასპარეზზე, ანუ როგორც დასავლეთის კულტურული და მსოფლიო-პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. ამრიგად, ხომ არ უნდა მოხდეს „კომუნიზმის დასრულების“ შესახებ თეზისის გადაფასება?

მკვლევრებმა „კომუნიზმის მსხვერპლად“ 100 მილიონი დაღუპული ადამიანი მიიჩნიეს. ნაციონალ-სოციალისტებისგან განსხვავებით, XX ს-ის კომუნისტური რეჟიმებისათვის დამახასიათებელი ძალადობა და ტერორი მიმართულია, უპირველესად, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ამ კომუნისტური რეჟიმების დღევანდელი მემკვიდრეები მოსკოვსა და პეკინში დღეს ყველაფერს ფუთავენ ჰეროიკული ტრაგიზმით. ამასთან, ბევრ ადამიანს არ შეუძლია და არც სურს იკისროს მემკვიდრეობითი პასუხისმგებლობა იმ ძალადობაზე, რომელიც შეეხო ყოველ მეორე ოჯახს. სწორედ ამაში მდგომარეობს კომუნიზმის ისტორიის თანამედროვე გააზრების სირთულე.

ჩინეთი, შენიანგი, „წითელ რევოლუციურ სასადილო ოთახში“ სტუმრების გასართობად მიმდინარეობს სიკვდილით დასჯის წარმოდგენა, შესრულებული მომსახურე პერსონალის მიერ. წითელი ტერორის სისასტიკე გადაფარულია სიცილით.

ფოტო: picture alliance / dpa

კომუნისტურ რუმინეთში პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა მოსაგონებლად ჟილავაში, ბუქარესტის სამხრეთით, მდებარე ციხე ცნობილი იყო იქ არსებული სასტიკი შიდა განაწესით.

2010 წლის დეკემბერი, ფოტო: picture alliance / AP Photo

„სოციალისტური ბანაკის“ დაშლა 1989 წლის შემდეგ მეტწილად დიდ ბაზარს ჰგავს. მეორეული ნივთების ბაზრობა ჩეკ-პოინტ ჩარლისთან. 1990 წლის დასაწყისი.

ფოტო: picture alliance / ZB



ლურსმნებით შექმნილი სკულპტურებით სახელგანთქმულმა ხელოვანმა გიუნტერ უკერმა (წარმოშობით გდრ-იდან) მისთვის დამახასიათებელი სტილის მეშვეობით ფომ პენის (კამბოჯა) ციხე Tuol Sleng-ის მსხვერპლთა ფოტოების გამოყენებით ძეგლი დაუდგა მათ. და აქცია ეს ქანდაკებები მსგავსი ბედისწერის მქონე მილიონობით ადამიანის მემორიალად.

საქართველოს გასაბჭოება

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმია შემოვიდა. საქართველოს ოკუპაციას სათავეში ედგნენ ქართველი ბოლშევიკები - სტალინი, ორჯონიკიძე და ომის პირველ დღეებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი რევკომი (რევოლუციური კომიტეტი).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, იუნკრები და მოხალისეები ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იცავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, მაგრამ თავდამსხმელი ძალის უპირატესობამ თავისი გაიტანა. საქართველოს პირველი რესპუბლიკა დაემხო.

საბჭოთა პროპაგანდა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შესანიღბად ევფემიზმ გასაბჭოებას იყენებდა, მაგრამ ბოლშევიკებმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაბედეს საბჭოების არჩევნების ჩატარება, რადგან მათ მუშათა და გლეხთა შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უზარმაზარი გავლენის ეშინოდათ.

საქრთველოს გასაბჭოება დაემთხვა რუსეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე (1921 წლის მარტი) მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთში ე.წ. სამხედრო კომუნიზმის უფრო ზომიერი ახალი ეკონომიური პოლიტიკით (НЭП - новая экономическая политика) შეცვლის თაობაზე. ამავე ყრილობაზე მიღებულ იქნა სტალინის მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი „ნაციონალური პოლიტიკა“ (საკითხზე ფართოდ იმსჯელეს პარტიის XII ყრილობაზეც 1923 წელს).

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა ითვალისწინებდა ადგილობრივი ეთნოსების პარტიულსა და სახელმწიფო იერარქიებში დაწინაურებას, ასევე განათლებისა და კულტურის ეროვნული ორგანიზაციების შექმნასა და გაძლიერებას, რაც ხელს უწყობდა ადგილობრივი ელიტის საბჭოთა ხელისუფლებასთან კოლაბორაციას.

მიუხედავად ამისა, 20-იანი წლების პირველი ნახევარი საბჭოთა რეჟიმთან დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის წლებია. 1921 წლის გაზაფხულიდანვე დაიწყო ანტისაბჭოთა მოძრაობა, განსაკუთრებით, საქრთველოს მთიანეთში - სვანეთში, ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთში. ყალიბდებოდა პარტიზანული ჯგუფები. ანტიბოლშევიკურმა ძალებმა ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკოორდინაციო ორგანო - დამოუკიდებლობის კომიტეტი და მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო ცენტრი . ყველაზე მაშტაბური იყო 1924 წლის აჯანყება, რომელიც ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო. მის ლიკვიდაციაში შეტანილმა წვლილმა ხელი შეუწყო ახალგაზრდა ჩეკისტ ლავრენტი ბერიას აღზევებას.

არც ქართველ ბოლშევიკთა შორის იყო ერთიანობა. მათი ნაწილი ღიად დაუპირისპირდა ნაციონალიზმის სტალინურ პოლიტიკას - უწინარესად, საბჭოთა კავშირის შექმნის საკითხთან დაკავშირებით (1922 წ.). ეს ე. წ. ქართული საქმე მოსკოვშიც დაპირისპირების საგანი გახდა. ბოლშევიკთა ამ ჯგუფს, რომლებსაც ნაციონალ-უკლონისტები უწოდეს,მოგვიანებით სტალინი სასტიკად გაუსწორდა.

წითელი არმიის ნაწილის შესვლა ბორჯომში. 1921 წლის მარტი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკასიის ხალხებს“. საბჭოთა არმიელი მიესალმება კავკასიელ ხალხებს. ფოტო საქართველოოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაბჭოების პირველი დღეები თბილისში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმი ჩვენია

ბოლოდ საბჭოთა ჯარმა შესძლო ბათუმის დაცვა

БАТУМ НАШ

Только Советская Армия сумела отстоять Батум.

Телеграмма из Батума 1921 г. 19-го марта 22 ч. 55 м.

Командующему XI армией - копия члену Р. В. С. Каменева Орджоникидзе,

Части вверенной мне группы вступили в Батум 17 ч. 18 м. 19-3-21.

При подходе к Кеди и Аджаре-Цхали командование кемалистов всеми силами старалось меня задержать за несколько часов, говора, якобы у них получилось недоразумение, в г. Батуме идет бой. Не обращая внимания, потянул кавалерию в г. Батум, при чем по пути видели бегущих в панике кемалистов, некоторые на них были раненые. Из опросов выяснилось якобы их бьют французы, англичане и грузины и город бамбардируется из крейсеров. Достигнув города передовыми частями мной были выеданы парламентеры, по возвращении которых выяснилось, что части Грузинской Армии, признавшие Советскую власть, разбили наголову турок, пытавшихся занять город.

Начальник группы

д. ჟლობას დეპეშა ბათუმის თურქთა ჯარისაგან გათავისუფლების შესახებ. 1921 წ. 19 მარტი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან მარჯვნივ: ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოფონდი

წითელი არმია თბილისში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი გარდატეხა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობაზე 1927 წლის დეკემბერში მიიღეს დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმების შედგენის შესახებ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (НЭП) შედარებითი ლიბერალიზმი დასრულდა და დაიწყო ინდუსტრიალიზაცია და ძალადობრივი კოლექტივიზაცია.

კოლმეურნეობაში საკუთარი ნებით მხოლოდ მოჯამაგირეები, უმიწაწყლო და უქონელი გლეხობა ერთიანდებოდა. შეძლებული (ე. წ. კულაკობა) და საშუალო გლეხობა კოლექტივიზაციის მსხვერპლი ხდება. ხელისუფლება მათთვის მხოლოდ ქონების ჩამორთმევით (განკულაკება) არ შემოიფარგლა. შეძლებული გლეხობის დიდი ნაწილის საქართველოდან დეპორტაცია განხორციელდა. სოფლად გაუსაძლისი პირობების შექმნა ხელს უწყობდა სოფლების დაცლასა და გლეხობის პროლეტარიზაციას, ინდუსტრიალიზაციისთვის საჭირო მუშახელის „შექმნას“. ამავე დროს, მიმდინარეობს მასშტაბური სამუშაოები: ჰიდროელექტროსადგურებისა და სარწყავი არხების, სამრეწველო საწარმოების მშენებლობა, კოლხეთის ჭაობის დაშრობა, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გაშენება. წიაღისეულ სიმდიდრეთა უკონტროლო ექსპლუატაცია, ტყეების გაჩეხვა, მდინარეების, ზღვისა და ტბების დაბინძურება, ეკოლოგიურ მოთხოვნათა იგნორირება საფრთხეს უქმნიდა და განადგურებით ემუქრებოდა ბუნებრივ გარემოს.

კოლექტივიზაციამ ძირეულად შეცვალა სოფლის იერსახე, მაგრამ ამ სოციალურმა ექსპერიმენტმა, გლეხობა ახალ „სახელმწიფო ყმად“ აქცია. აღინიშნა სამრეწველო აღმავლობაც, მაგრამ კვლავაც არ იწარმოებოდა საკმარისი ოდენობის ფართო მოთხოვნის საქონელი და დაბალი იყო სურსათის წარმოებაც. ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წვლილი ისევ აღემატებოდა მრეწველობის წილს. საქართველოს ეკონომიკა, როგორც სსრკ-ის ეკონომიკის ნაწილი, სრულად იყო ინტეგრირებული იმპერიის სამრეწველო კომპლექსში და დამოუკიდებლად ფუნქციონირება არ შეეძლო.

პლაკატი ასახავს პროლეტარიატის მიერ საერთაშორისო კაპიტალიზმის დამარცხებას. ფოტო მოგვაწოდა ო. ჯანელიძემ

საბჭოთა ხუთწლედების გადაჭარბებული მოთხოვნები. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაკატი, რომელიც ცდილობს წარმოაჩინოს საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის ყოვლისშემძლეობა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაკატი წარმოაჩენს სოციალიზმის მშენებელ მუშათა და გლეხთა „ძმურ“ კავშირს, როგორც კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთ წინაპირობას. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნება ფრთებს ისხამს,

წარძალებით სორციელდება საბჭოთა კონსტრუქტორების ჩანაფიქრი

ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები!.. საბჭოთა ადამიანის გონების, საბჭოთა ტექნიკის განუსაზღვრელ მიღწევებსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს ეს სიტყვები.

ეს არის უდიდესი პერსპექტივების მქონე მანქანები, — მომავლის მანქანები. ამჟამად ისინი ფართო საწარმოო გამოცდას გადიან ჩვენი რაიონის ჩაის პლანტაციებში. გულსხმიერად, დაძაბული ყურადღებით აკვირდებიან მათს მუშაობას, სწავლობენ ამ მანქანების ბარვეზებსა და მათი დაძლევის გზებს კონსტრუქტორები და მექანიკოსები, მეცნიერი მუშაკები და აგრონომები, რიგითი მეჩაიეები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები.

ფართო გზა საკრეფ მანქანებს, — ჩაის პლანტაციების მექანიზაციის ამ უახლეს დეტალებს! მალე გვენახოს ისინი ყველა ჩაის პლანტაციაში შეუფერხებლად მომუშავე, ამაყად რომ უყურდეს ჩაის მწკრივებს, „მწვანე ოქროს“ ხვავით რომ ავსებდეს ჩაის ფაბრიკების მისადგომებს!

ხურაბზე: ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების საწარმოო გამოცდა ჩვენი რაიონის ჩაის პლანტაციებში.

საგაზეთო სტატია ჩაის წარმოების მექანიზაციის შესახებ. ციტრუსებთან ერთად საქართველო ჩაის მთავარი მწარმოებელი იყო საბჭოთა კავშირში. გაზეთ "ლენინის დროშის" არქივიდან

საბჭოთა კავშირისათვის ციტრუსების მთავარი მიმწოდებელი საქართველო იყო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერორის ევოლუცია

საბჭოთა ხელისუფლება თავის მოწინააღმდეგე ადამიანებს აკერებდა „ხალხის მტრის“, „სამშობლოს მოღალატის“, „მავნებლის“, „დივერსანტის“ იარლიყს და ფიზიკურად უსწორდებოდა. საქართველოში თავისი მასშტაბით უპრეცედენტო იყო პოლიტიკური რეპრესიები, რომელმაც თავის პიკს 1937 წელს მიაღწია და ძირითადად ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირდებოდა.

ქართველი ინტელიგენცია, ძველი ბოლშევიკები კავკასიის იატაკქვეშა რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელთა პირველი თაობა (ბევრი ამ სამსავე კატეგორიას ერთდროულად მიეკუთვნებოდა) განსაკუთრებული სამიზნე აღმოჩნდა. ისინი სტალინის პირველ მსხვერპლებად იქცნენ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მათგან ისინი, ვინც სტალინს პირადად იცნობდა და იცოდა ის ნამდვილი ისტორია, რომლის გადაწერასაც სტალინი ცდილობდა, განსაკუთრებული ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

„დიდი ტერორი“ შეეხო საზოგადოების ყველა ფენას, ყველა ეთნიკურ ჯგუფს. მხოლოდ საქრთველოში, არაზუსტი მონაცემებით, 63 ათასი ადამიანი მოხვდა საპყრობილეში, მათგან 10 ათასზე მეტი დახვრიტეს. ჯერაც დაუდგენელია რეპრესიების სხვა მსხვერპლთა - ე.წ. გულაგებში გარდაცვლილების ზუსტი რაოდენობა.

ბერიას დაუფასდა „პარტიის გენერალური ხაზის“ მტკიცე ხელით გატარება, 1938 წელს ის, მთელი თავისი გუნდით, გადაიყვანეს მოსკოვში ტერორის მთავარი ორგანოს - შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) ხელმძღვანელად. ქართველებისა და კავკასიელების რიცხვი ამ უწყების მაღალ ეშელონებში არაპროპორციულად გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ტყვედჩავარდნილთა დიდი ნაწილი (მათ შორის, ათასობით ქართველი), რომელიც მოკავშირეებმა საბჭოთა სახელმწიფოს გადასცეს, ხელისუფლებამ დახვრიტა ან შრომით კოლონიებში გაგზავნა. 1951 წელს საქართველოდან პოლიტიკური მოტივით ყაზახეთსა და შუა აზიაში გადაასახლეს 10 ათასი კაცი, რეპრესია შეეხო იმ ადამიანებსაც, ვისაც ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეებთან ნათესაურად იყვნენ დაკავშირებულნი.

ლავრენტი ბერია. საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტური ლიდერი, სხვადასხვა წელს ეკავა საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, საქართველოს საგანგებო კომისიის (ე.წ. ჩეკა) ხელმძღვანელის, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობები. მის სახელთანაა დაკავშირებული დიდი ტერორი საქართველოში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (ლევან დოლიძის კოლექცია)



Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 43

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 14 193 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
Спец.дело № 16576 4 Отдела УГБ НКВД ГССР, по обвинению ЛАКОВА Сарии Ахмедовны, 1905г.рождения, урож.г.Батуми, образование домашнее, б/п., до ареста домохозяйка.	ЛАКОВА Сарию Ахмедовну
ЛАКОВА Сария Ахмедовна являлась участницей к-р диверсионно-вредительской террористической шпионской организации правых в Абхазии, возглавляемой ее мужем б.Пред.Аб.ЦИК"а Н.ЛАКОВА.	Расстрелять
Виновной признала себя в том, что знала о к-р взглядах и высказываниях Н.ЛАКОВА и др.членов организации, т.е. в преступлениях предусмотренных ст.ст.17-58-8, 17-58-6 и 58-11 УК ГССР.	
Изобличается показаниями осн. ЛИАЛ-ИПА К.П.МИКАПЕА М.Х., ЛАКОВА и др. (Доклад тов.ПАНИНА)	
ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ:	
ЧЛЕНЫ ТРОЙКИ:	
4/АН.	

ე.წ. წმენდის კომისია, რომელიც ახორციელებდა სადამსჯელო ოპერაციებს 30-იანი წლების საქართველოში. ამ დროიდანვე დამკვიდრდა საბჭოთა რეჟიმის მიერ შერისხულ პიროვნებათა პორტრეტების წაშლა. საქართველოს შსს არქივი

ბოლშევიკი ლიდერები. მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ს. ორჯონიკიძე, ი. სტალინი, ვ. მოლოტოვი, ს. კიროვი. დგანან: კ. ვოროშლოვი, ლ. კაგანოვიჩი, ვ. კუიბიშევი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ლაკობას დახვრეტის დადგენილება, ხელმოწერილი „ტროიკის" მიერ. მას ბრალად ედება თავისივე მეუღლის, აფხაზეთის პარტიული ლიდერის, ნ. ლაკობას თანამზრახველობა „აფხაზეთის მემარჯვენე ჯაშუშურ-დივერსიულ-მავნებლურ ტერორისტულ საქმიანობაში". რეპრესირებულ პოლიტიკურ მოღვაწეთა მეუღლეების დასჯა საბჭოთა რეჟიმის ჩვეული პრაქტიკა იყო. საქართველოს შსს არქივი

„გაუმარჯოს დიად სტალინს!“ პიროვნების კულტი

20-იანი წლების დასასრულიდან ყალიბდებოდა სტალინის როგორც ბელადის კულტი. იგი საბოლოოდ ხელთ იგდებს მმართველობის სადავეებს და სასტიკად უსწორდება ყოველგვარ ოპოზიციურსა თუ კრიტიკულ აზრს. ბელადის კულტის ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა ლავრენტი ბერიას სახელით გამოსულმა ნაშრომმა „ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხისათვის”, ისევე, როგორც ათასობით მწერლის, პოეტის, რეჟისორისა და სხვათა მიერ სტალინის უსაზღვრო ხოტბამ და განდიდებამ.

1953 წლის მარტში, სტალინის სიკვდილის შემდეგ, დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის ბელადის უახლოეს გარემოცვაში. ამ დროისათვის საბჭოთა იერარქიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, თუ არა ყველაზე გავლენიან ფიგურად, ბერია მიიჩნეოდა. მისი ლიდერობის შანსი გაიზარდა სტალინის უკანასკნელი საეჭვო კამპანიების - „ექიმების საქმე“, „მეგრელების საქმე“ შეწყვეტითა და ეთნიკური უმცირესობების საკითხის წინ წამოწევით. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და დასრულდა ბერიას დაპატიმრება-დახვრეტით, რასაც მისი მოწინააღმდეგე ნიკიტა ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა.

სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე, 1956 წელს, კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დახურულ სხდომაზე, ხრუშჩოვის მიერ სტალინის პიროვნების კულტის დაგმობას საქართველოში მწვავე რეაქცია მოჰყვა. სიცოცხლეშივე გაღმერთებული ბელადის მძაფრი კრიტიკა აქ ეროვნული ღირსების შელახვად მიიჩნიეს და მას პროტესტით უპასუხეს. უკმაყოფილების კულმინაცია იყო მარტის დასაწყისში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მასობრივი დემონსტრაციები, ძირითადად, სტუდენტებისა და ახლაგაზრდების მონაწილეობით. მიტინგები და მანიფესტაციები კომუნისტური ლოზუნგებით მიმდინარეობდა, თუმცა გაისმოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაც. ცხრა მარტის ღამეს საბჭოთა ჯარმა ცეცხლი გაუხსნა მშვიდობიან დემონსტრანტებს, დახოცა და დაჭრა მრავალი. დაღუპულთა ცხედრები ოჯახებს იმ პირობით გადასცეს, რომ მათ უჩუმრად დაასაფლავებდნენ.


Т. Малину В.Н.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ
КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ СОВЕТСКОГО СОЮЗА

СТРОГО СЕКРЕТНО

Экз. № 00290

О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ
И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ

Доклад Первого секретаря ЦК КПСС
тов. ХРУЩЕВА Н. С.
XX съезду Коммунистической партии
Советского Союза

25 февраля 1956 года

Поправки
для 10

Подлежит возврату в ЦК КПСС,
1-й сектор Общего отдела
в 3-месячный срок

ხრუშჩოვის განკარგულებით დაშალეს ქართული საჯარისო შენაერთები, უნდობლობა გამოუცხადეს და სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს მრავალი ქართველი გენერალი და ოფიცერი, შეწყდა სამხედრო აკადემიაში ქართველთა მიღება. წესად დამკვიდრდა მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიათა ცკ-ში მეორე მდივნებად ეთნიკურად რუსი კომუნისტების დანიშვნა, რომლებიც ადგილებზე მოსკოვის „თვალი და ყურები“ იყვნენ.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მარტის მოვლენების შედეგად დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი დისიდენტური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ამ მოვლენების მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მონაწილეები.

პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენება 1956 წლის სკკპ-ის მეოცე ყრილობაზე. წყარო: ელექტრონული ბიბლიოთეკა პროფილი; https://proflib.com

პიონერი გოგონა პატივს მიაგებს გარდაცვლილ სტალინს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წლის 9 მარტი, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია სტალინის ძეგლთან. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ბერია

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის

მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წლის 21—22 იანვარს

★

მეშვიდე გამოცემა

სახელგამი • პოლიტლიტერატურა
1949

ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, წიგნი, რომლის ნამდვილი ავტორობა ერთ-ერთი ვერსიით, მიეწერება ბოლშევიკ ერიკ/ერმილე ბედიას. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

მოლოტოვი, ვოროშილოვი, ბერია, მალენკოვი სტალინის ცხედართან. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

№ 54 (9522) ხუთშაბათი, 5 მარტი, 1953 წ. ფასი 20 კაპ.

მთავრობის ცნობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ავადმყოფობის შესახებ

საბჭოთა საქართველოს ოფიციოზი გაზეთი „კომუნისტი“. უწყება სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოტტეპელი“ და „ზასტოი“

ნიკიტა ხრუშჩოვი, ვასილ მჟავანაძე და გივი ჯავახიშვილი ნადირობისას. 1957 წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. მფლობელი გივი ყურაშვილი

ხრუშოვის ე.წ. დათბობის ეპოქა (Оттепель) საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ცენტრის ერთგვარი ლიბერალური დამოკიდებულებით ხასიათდება. ადგილობრივი პარტიული და მმართველი ელიტა გარკვეული თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე მათი კარიერული ამბიციები საკუთარ რესპუბლიკებს, ხოლო ნაციონალიზმის გამოხატვა მისაღებ ჩარჩოებს არ სცდებოდა და მათი ეკონომიკური მიზნები ცენტრისას თანხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხრუშჩოვმა ეთნიკურად რუსი მეორე მდივნები დანიშნა, რომლებსაც ცენტრალური კონტროლი უნდა განეხორციელებინათ, ისინი ხშირად მთლიანად ჩართულები იყვნენ ადგილობრივ პოლიტიკასა და საქმიანობაში.

ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდი, რომელიც 1964 წლის ოქტომბერში, ხრუშჩოვის გადაყენების შემდგომ დაიწყო, სტაგნაციის (Застой) ხანაა. დაიწყო შავი და ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავების ხანა, რადგან მთავრობა თვალს ხუჭავდა ფორმალური სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ამ „საპოხზე“.

გაჩნდა ერთგვარი „სოციალური კონტრაქტი“, რომელიც რეჟიმის მიმართ პოლიტიკური ერთგულების სანაცვლოდ ცხოვრების სტანდარტის გაზრდას გულისხმობდა. საბჭოთა იმპერიის პერიფერიაში მდებარე საქართველო კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ცენტრად იქცა იატაქვეშა ფაბრიკებით, რომლებიც აწარმოებდა მოთხოვნად პროდუქციას, რითაც ოფიციალური ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფდა მომხმარებელს.

ლეონიდ ბრეჟნევი საიუბილეო გამოფენაზე. 1971 წ. თბილისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოფონდი

ამ პერიოდში არალეგალურად მოქმედი „სხვაგვარად მოაზროვნეები“ თანამშრომლობდნენ საბჭოთა დისიდენტების ჯგუფებთან და თვითგამოცემების (Самиздат) ჟურნალებს უშვებდნენ. მრავალ მათგანს უთვალთვალებდნენ და დააპატიმრეს კიდეც დისიდენტთა 1970-იანი წლებში მოწყობილი დევნისას. ამან დისიდენტური მოძრაობა აიძულა კიდევ უფრო ღრმა იატაკქვეშეთში გადასულიყო. მისი მრავალი ლიდერი გადასახლებაში ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა.

1978 წლის 14 აპრილს რუსიფიკაციისა და ეროვნული ასიმილაციის საბჭოთა პოლიტიკით განპირობებულმა გაღიზიანებამ მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ, რომელიც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს აუქმებდა. გრძნობების ამ მშვიდობიანმა მობილიზაციამ უკან დაახევინა ცენტრალურ ხელისუფლებას და კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი უცვლელი დარჩა.

კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო, ნიკიტა ხრუშჩოვი და სსრკ-ის თავდაცვის მინისტრი როდიონ მალინოვსკი სტუმრად აფხაზეთში. 1963 წ.
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=31556

ლეონიდ ბრეჟნევი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ბრეჟნევის საქართველოში პირველი ვიზიტისას. 1966 წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ბრეჟნევი საქართველს გასაბჭოების 50 წლისთავთან დაკავშირებით ჯილდოს გადასცემს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. 1971 წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გადასცემს გარდამავალ წითელ დროშას საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჟიული შარტავას. 1970-იანი წლების ბოლო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოფონდი

მოულოდნელი დასასრული

1985 წლის მარტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობის დაკავების შემდეგ, შერყეული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების რეფორმის მიზნით, მიხეილ გორბაჩოვმა ე. წ. გარდაქმნა (Перестройка) დაიწყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, გორბაჩოვის მთავარი მოკავშირე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს. გარდაქმნის ცვლილებები ნელა-ნელა იკიდებდა ფეხს საქართველოშიც.

1986 წელს, გორბაჩოვმა ე. წ. ღიაობის (Гласность) პოლიტიკა გამოაცხადა, რასაც უნდა აეძულებინა სახელმწიფო მოხელეები და ბიუროკრატები, დაეჩქარებინათ რეფორმების გატარება. შემცირდა ცენზურა, გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, ადამიანებს თავიანთი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა მიეცათ. ცალკეულ რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოში, ღიაობის ასეთმა პოლიტიკამ საბჭოთა ნაციონალისტური პოლიტიკით უკმაყოფილების გამოხატვის საშუალება გააჩინა და წინ წამოწია საკითხები, რომლებიც დიდხანს იყო დაფარული. გამოცოცხლდა და გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციით უკმაყოფილება 1989 წლის აპრილში ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაგვირგვინდა და 9 აპრილის ღამეს საბჭოთა არმია იქნა მოხმობილი დემონსტრანტების დასაშლელად. ჯარისკაცებს ნაბრძანები ჰქონდათ, არ გაეხსნათ ცეცხლი. ამიტომ მათ ნიჩბები და მომწამვლელი გაზი გამოიყენეს, რამაც 20 ადამიანის, ძირითადად, ქალების, სიკვდილი გამოიწვია. ცხრა აპრილის სისხლისღვრა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში წყალგამყოფად იქცა, რომელმაც ადგილობრივი პარტიული ნომენკლატურისა და საბჭოთა რეჟიმის დისკრედიტაცია გამოიწვია და შექმნა ვაკუუმი, რომელიც ნაციონალისტურ დისიდენტ ინტელიგენციას უნდა შეევსო.

თითქმის ერთ ღამეში საქართველო რადიკალურად შეიცვალა და შეუერთდა ბალტიის რეპუბლიკებს საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ ხაზზე. კომპარტიის ძალაუფლება შესუსტდა და ნაწილობრივ დემოკრატიულად არჩეულ ადგილობრივსა და ცენტრალურ მმართველობებში დისიდენტებმა შეძლეს ხმების მოპოვება, პოლიტიკაში მოსვლა და საბჭოთა კავშირის სამართლებრივი ბაზის შერყევა.

კარიკატურულ ნახატზე გამოსახულია საბჭოთა კავშირის დაშლა, რომლის შეკავებას ცდილობს, სავარაუდოდ, მაშინდელი სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მდივანი მ. გორბაჩოვი. ლატვია უკვე „გაიქცა“ საბჭოთა კავშირიდან. მხატვარი მურთაზ აბაშიძე. ჟურნალი ნიანგი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიკატურულ ნახატზე გამოსახულია მიხეილ გორბაჩოვი. სსრკ-ის გარდაქმნის ინიციატორს დაბრკოლებას უქმნის კომუნისტური პარტია. მხატვარი მურთაზ აბაშიძე. ჟურნალი ნიანგი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიანი დემონსტრაცია 1989 წლის 9 აპრილის წინა დღეებში.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები - მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა. ფოტო საზოგადოებრივი პორტალი www.sazogadoeba.ge

„კულტura!“ და კულტურა

მიუხედავადავად იმისა, რომ საბჭოთა ხელოვნებაში წამყვან მიმართულებად სოცრეალიზმი რჩებოდა, ცენტრიდან დაშორებამ და პოსტსტალინური ეპოქის გარკვეულმა თავისუფლებამ განაპირობა საქართველოს შემოქმედებით ცენტრად ჩამოყალიბება. ლიტერატურა, ხელოვნება და, განსაკუთრებით კინემატოგრაფია აღმავლობას განიცდიდა.

საბჭოთა ქართულმა ფილმმა თავისი ორიგინალურობით სახელი გაითქვა მთელს მსოფლიოში. ქართველმა რეჟისორებმა, სცენარისტებმა, კომპოზიტორებმა და შემსრულებლებმა საბჭოთა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

მხატვარ დიმიტრი ერისთავის მიერ შესრულებული აფიშა კინოფილმისათვის „გიორგობისთვე“. ფოტო - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი თოიძის პლაკატი „დედა-სამშობლო გვეძახის", მოწოდება საყოველთაო მობილიზაციისაკენ „დიდ სამამულო ომში“ საბრძოლველად. 1941 წ. პლაკატი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

კადრი 1955 წელს გადაღებული კინოფილმიდან „მაგდანას ლურჯა“, რეჟისორები თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე, მთავარ როლში - დუდუხანა წეროძე. 1956 წლის კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო მხატვრული ფილმისათვის. ფოტო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრი ფილმიდან „იყო შაშვი მგალობელი“. რეჟისორი ოთარ იოსელიანი. 1970 წ. ოთარ იოსელიანს საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად მისი საბჭოთა კავშირში ცხოვრების პერიოდშივე: „გიორგობისთვე“ (1966 წ.) კანის კინოფესტივალის კინოპრესის სპეციალური ჯილდო და ჟორჟ სადულის პრიზი; „პასტორალი“ (1976 წ.) ბერლინის ფესტივალის კინოპრესის ჯილდო.
ამჟამად ოთარ იოსელიანი ცხოვრობს და მუშაობს საფრანგეთში. 2011 წელს მას მიუნხენის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიენიჭა პრემია კინემატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (CineMerit Award) ფოტო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ყანჩელი. კომპოზიტორი. 1996 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს საზღვარგარეთ. 2008 წელს მიენიჭა ვოლფის პრემია ხელოვნებაში. ფოტო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“. რეჟისორი რობერტ სტურუა. 1975 წ.



პირველი მაისის დემონსტრაციის შემდეგ. რობერტ სტურუა (უფროსი). 1964 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სცენა სპექტაკლიდან „მეფე ლირი“. რეჟისორი რობერტ სტურუა. მთავარ როლში რამაზ ჩხიკვაძე. 1987 წ.

ანსამბლი „ვია 75“ თბილისის როკფესტივალზე. 1980 წლის მარტში თბილისში გამართული ფესტივალი რუსული როკმუსიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა და „საბჭოთა ვუდსტოკის“ სახელითაა ცნობილი. ფოტო ბესიკ კალანდაძისა

მისმა შემოქმედებამ ფართო აღიარება მოუტანა რეჟისორს. მას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს პრიზები: ალბერტ შვეიცერის სახელობის პრემია (1975) ინგლისური კრიტიკის პრემია (1980) იტალიური კრიტიკის პრემია (1981) არგენტინის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია (1988) და სხვა. ფოტოები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ბრეჟნევს ესალმება ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ქართველი მსახიობი, სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სამგზის ლენინის ორდენოსანი ვერიკო ანჯაფარიძე. ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებისათვის ხელისუფლებასთან კარგი დამოკიდებულების დემონსტრირება ერთგვარი აუცილებლობა იყო. მიუხედავად შედარებითი შემოქმედებითი თავისუფლებისა, ცენზურა საბჭოთა ხელოვნების უცვლელ ატრიბუტად რჩებოდა.

კადრი კინოფილმიდან „მონანიება“. რეჟისორი თენგიზ აბულაძე. 1984 წ. ფილმი დაჯილოებულია კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალის სამი პრიზით: მთავარი ჟიურის სპეციალური პრიზი, კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის და კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესი“; ჩიკაგოსა და ჰეუგესუნის საერთაშორისო კინოფესტივალების (1987 წ.) პრიზებით, იტალიის კინომატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის პრემიით საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმისათვის (1988 წ.). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ტექსტის ავტორები:

ოთარ ჯანელიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ტიმოთი ბლაუველტი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ლაშა ბაქრაძე ისტორიის მეცნერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რედაქტორი-კორექტორი

ნინო ნადარაია საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გრაფიკული დიზაინი

ირაკლი ხუციშვილი საქართველოს ეროვნული მუზეუმი

პროექტის კოორდინატორები

გიორგი ბუტიკაშვილი კონრად ადენაუერის ფონდი

ალისა დათუნაშვილი საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ი მ პ რ ე ს უ მ ი

გამომცემლები
გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიქტატურის კვლევის ფედერალური ფონდი *(Bundesstiftung zur Aufarbeitung der SED-Diktatur)*
მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებითა და ხსნა ღონისძიებებით ხელს უწყობს გერმანიასა და ევროპაში კომუნისტური დიქტატურების წარმომობის მიზეზების, ისტორიისა და შედეგების კვლევასა და განხილვას.

გერმანიის ისტორიის მუზეუმი *(Das Deutsche Historische Museum)* ეროვნული მუზეუმია, რომელიც გერმანიის ისტორიას წარმოადგენს ევროპულ კონტექსტში. გერმანიის ისტორიულ ცენტრში მდებარე მუზეუმი არის გერმანიის ისტორიის განსჯისა და მოსაზრებათა ურთიერთგაზიარების ადგილი.

www.bundesstiftung-aufarbeitung.de
www.dhm.de

პროექტზე მუშაობდნენ:
გამოფენის ავტორი: **დოქტ. გერდ ქიონენი *(Dr. Gerd Koenen)*** მან თავის წიგნში „წითელი ათნლეული“ (2001 წ.) თვალსაჩინოდ აღწერა მემარცხენე-რადიკალური ჯგუფების განვითარება 1967 წლიდან 1977 წლის გერმანიის ტერორისტულ მემოდგომამდე და კრიტიკულად გააანალიზა აქტივისტების მოტივაცია. მისი სხვა ნაშრომები და წიგნები, სხვათა შორის, ეძღვნება სოციალისტური პირონენების კულტის ლიტერატურის ისტორიას („დიდი ჰიმნები“. 1991 წ.), გერმანულ ტერორიზმს („ვესპერი, ენსლინი და ბაადერი“. 2003 წ.), გერმანელების წარმოდგენებს რუსეთზე („რუსეთის კომპლექსი“. 2005 წ.) და ლათინურ-ამერიკულ გერილას ეპოსებს („ჩე-გევარას პროექტი“. 2008 წ.). 2017 წელს ბევის გამომცემლობას დაგეგმილი აქვს გამოსცეს მისი ახალი წიგნი „წითელი ფერი - კომუნიზმი როგორც მსოფლიო ისტორია“.
www.gerd-koenen.de

პროექტს

ხელმძღვანელობდა
დოქტ. ულრიხ მელერტი
(კვლევის ფედერალური ფონდი
), რომელმაც გერდ ქიონენთან ერთად მეარჩია და კომენტარები დაურთო ფოტოებსა და სხვა დოკუმენტურ მასალას. გამოფენის დიზაინი უზრუნველყო გრაფიკოსმა **დოკ. თომას კლემმმ.**
www.thomasklemm.com/

QR-კოდები
გამოფენაზე წარმოდგენილ QR-კოდებს მესაბამისი ლინკების მეშვეობით გადავყავართ ინტერნეტში, სადაც მეგვიძლია გავეცნოთ 24 თანამედროვე ვიდეოდოკუმენტს, რომლებიც ასევე მესაძლებელია ნახონ ე.წ. სმარტ-ფონების მომხმარებლებმაც. ამ დოკუმენტმენტაცან ბევრი წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე ან ინგლისური სუბტიტრებით.

მადლობა:
გამომცემლთა მადლობა იმ არქივებს, მუზეუმებს, მედიას, მათს თანამშრომლებსა და პროექტის სხვა მხარდამჭერებს, რომელთან მოგვწოდეს ფოტოები, კარიკატურები და ფაქსიმილეები. უპირველესად უნდა ვახსენოთ საგენტო dpa-Bildagentur picture alliance, ასევე Süddeutsche Zeitung Photo, რომლებმაც მოგვაწოდეს გამოფენაზე წარმოდგენილი მასალის უმრავლესობა. გარდა ამისა, მადლობას ვუხდით: საააგენტო akg-images-ს, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სოციალური დემოკრატიის არქივს, archive.org-ს, ფედერალურ არქივს, უტე კუუმანს, Framepool-ს, თომას კიზნის, ახალ გერმანიის, ფედერალური მთავრობის პრესისა და ინფორმაციის სამსახურს, რობერტ ჰავემანის საზოგადოებას, შვეიცარიის სოციალურ არქივს, Der Spiegel-ს, ლაიფციგის ჭალაქის ისტორიულ მუზეუმს, გიუნტერ უკერს, ვიკიპედიას, The Wolfsonian-ს, ჟურნალ „აღმოსავლეთ ევროპას“. განსაკუთრებული მადლობა გამოფენის ტექსტური მასალის მთარგმნელს - ეთერ ჩარნიძესს (ქ. თბილისი, საქართველო).

გთხოვთ გაითვალისწინოთ:
ყველა ფოტო, აუდიოდოკუმენტი თუ ტექსტი, ასევე გამოფენის დიზაინი დაცულია საავტორო უფლებებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია მათი რეპროდუქცია, მეცვლა ან სხვაგვარი დამუშავება მესაბამისი უფლებამოსილი პირების ნებართვის გარეშე. ასეთი უფლებამოსილი პირები დასახელებულნი არიან ფოტოს თანმხლებ ნარწერებში. გაქვთ კითხვა ან კრიტიკული მოსაზრება გამოფენასთან დაკავშირებით? ან მიუხედავად ფოტოარქივებში ჩვენი კვლევითი მუშაობისას გამოვლენილი დიდი გულმოდგინეზისა, ვერ გავითვალისწინეთ თქვენი საავტორო და მსგავსი უფლებები?
ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ დოქტ. ულრიხ მალერტს შემდეგ მისამართზე:
k-ausstellung@bundesstiftung-aufarbeitung.de
გამოფენასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მისამართზე:
www.bundesstiftung-aufarbeitung.de/k-ausstellung

DEUTSCHES HISTORISCHES MUSEUM

Konrad Adenauer Stiftung

BUNDESSTIFTUNG AUFARBEITUNG